

შპს დუთი ფრი გლობალი

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით მომზადებული
ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერი

შინაარსი

ფინანსური ანგარიშგებები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	1
მოგება -ზარალისა და სრულ შემოსავლის ანგარიშგება	2
კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება	3
ფულდინაკალების ანგარიშგება	4


ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები:


1	კომპანია და მისი საქმიანობა.....	5
2	კომპანიის საოპერაციო გარემო	5
3	სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	6
4	მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას.....	19
5	ახალი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება	20
6	საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები.....	22
7	ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	27
8	აქტივები გამოყენების უფლებით და იჯარის ვალდებულებები	28
9	მარაგები	29
10	ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	29
11	მფლობელების კაპიტალი	29
12	სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	30
13	ამონაგები.....	30
14	რეალიზებული საქონლის თვითღირებულება.....	30
15	სხვა საოპერაციო ხარჯები	31
16	ფინანსური შემოსავალი.....	31
17	ქირავნობის ხარჯები.....	31
18	მოგების გადასახადის ხარჯი	31
19	გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები	32
20	ფინანსური რისკის მართვა	33
21	რეალური ღირებულების შეფასება	36
22	კაპიტალის მართვა.....	38
23	საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები	38
24	სააღრიცხვო პოლიტიკა 2019 წლის 1 იანვრამდე.....	39

შპს დუთი ფრი გლობალი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ქართული ლარი	შენიშვნა	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები		31,222	36,103
აქტივები გამოყენების უფლებით	8	472,359	-
არამატერიალური აქტივები		2,705	2,798
სულ გრძელვადიანი აქტივები		506,286	38,901
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	9	4,106,935	1,409,473
საგადასახადო აქტივები		105,499	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		57,723	60,322
სხვა მოკლევადიანი აქტივები		21,139	16,685
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	10	59,326	1,830,657
სულ მოკლევადიანი აქტივები		4,350,622	3,317,137
სულ აქტივები		4,856,908	3,356,038
კაპიტალი			
მფლობელების კაპიტალი		-	-
გაუნაწილებელი მოგება		3,127,346	2,539,607
სულ კაპიტალი		3,127,346	2,539,607
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
იჯარის ვალდებულებები	8	463,019	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		463,019	-
მოკლევადიანი ვალდებულებები			
იჯარის ვალდებულებები	8	60,749	-
ნასესხები სახსრები		37,698	-
სავაჭრო და სხვა დავალიანება	12	1,168,096	691,334
საგადასახადო ვალდებულებები		-	125,097
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1,266,543	816,431
სულ ვალდებულებები		1,729,562	816,431
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		4,856,908	3,356,038

გამოსაცემად დამტკიცებულია და ხელი მოეწერა 2020 წლის 26 ნოემბერს


ომერ სალური
გენერალური დირექტორი


ნატა მელიძე
ფინანსური დირექტორი

შპს დუთი ფრი გლობალი
მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ქართული ლარი	შენიშვნა	2019	2018
ამონაგები	13	14,683,780	14,568,283
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	14	(9,858,368)	(9,994,597)
თანამშრომელთა ხელფასები და სარგებელი		(399,138)	(482,424)
ცვეთა და ამორტიზაცია		(70,754)	(18,030)
ქირავნობის ხარჯები	17	(37,288)	(140,708)
სხვა საოპერაციო ხარჯები	15	(165,307)	(194,650)
საოპერაციო მოგება		4,152,925	3,737,874
გ ა ც ვ ლ ი თ ი კ უ რ ს ი ს ც ვ ლ ე ბ ი თ მ ი დ ე ბ უ ლ ი ზარალი, წ მ ი ნ და		(137,945)	(78,804)
ფ ი ნ ა ნ ს უ რ ი შ ე მ ო ს ა ვ ა ლ ი	16	31,338	32,131
ფ ი ნ ა ნ ს უ რ ი ხ ა რ ჯ ე ბ ი	8	(47,457)	-
მოგება დაბეგვრამდე		3,998,861	3,691,201
მოგების გადასახადის ხარჯი	18	(509,211)	(583,366)
წლის მოგება		3,489,650	3,107,835
სულ წლის სხვა სრული შემოსავალი		3,489,650	3,107,835

განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც მოცემულია გვერდებზე 5-39, წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს დუთი ფრი გლობალი
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

<i>ქართული ლარი</i>	შენიშვნა	მფლობელების კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
2018 წლის 1 იანვარს		-	6,136,727	6,136,727
წლის მოგება		-	3,107,835	3,107,835
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-	-
2018 წლის სხვა სრული შემოსავალი		-	3,107,835	3,107,835
გამოცხადებული დივიდენდები	11	-	(6,704,955)	(6,704,955)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს		-	2,539,607	2,539,607
წლის მოგება		-	3,489,650	3,489,650
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-	-
სულ 2018 წლის სხვა სრული შემოსავალი		-	3,489,650	3,489,650
გამოცხადებული დივიდენდები	11	-	(2,901,911)	(2,901,911)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს		-	3,127,346	3,127,346

განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც მოცემულია გვერდებზე 5-39, წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს დუთი ფრი გლობალი
ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ქართული ლარი	შენიშვნა	2019	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		3,998,861	3,691,201
კორექტირებები:			
მოგება-ზარალში აღიარებული საპროცენტო ხარჯისთვის		47,457	-
მოგება-ზარალში აღიარებული საპროცენტო შემოსავლისთვის	16	(31,338)	(32,131)
ცვეთისა და ამორტიზაციისთვის		70,755	18,030
უცხოური ვალუტის გაცვლის ზარალისთვის , წმინდა მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერისთვის	15	-	58,321
ზარალისთვის ძირითადი საშუალებების გასვლიდან		-	39
საოპერაციო ფულადი ნაკადები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე			
		4,223,680	3,814,264
ზრდა/ (შემცირება) სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში (ზრდა)/შემცირება მარაგებში	9	2,818	(29,349)
		(2,697,462)	1,843,021
ზრდა სხვა მოკლევადიან აქტივებში		(4,454)	(9,685)
ზრდა საგადასახადო აქტივებში, წმინდა		(230,596)	(39,863)
ზრდა/(შემცირება) სავაჭრო და სხვა დავალიანებებში	12	357,311	(1,201,293)
ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში			
		(2,572,383)	562,831
მიღებული პროცენტი		31,338	32,131
გადახდილი პროცენტი	8	(47,457)	-
გადახდილი მოგების გადასახადი		(509,211)	(524,415)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			
		1,125,967	3,884,811
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენისთვის გადახდილი თანხები		(2,309)	(3,034)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები			
		(2,309)	(3,034)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
წმინდა შემოსულობები ნასესხების სახსრებიდან		37,698	-
იჯარის ვალდებულებების დაფარვა- ძირი თანხა	8	(45,730)	-
გადახდილი დივიდენდი	11	(2,901,911)	(6,704,955)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
		(2,909,943)	(6,704,955)
ვალუტის გაცვლის კურსების ცვალებადობის გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		14,954	74,858
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში			
	10	1,830,657	4,578,977
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს			
	10	59,326	1,830,657

განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც მოცემულია გვერდებზე 5-39 , წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

1 კომპანია და მისი საქმიანობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ('ფასს') და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად, 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, შპს დუთი ფრი გლობალისთვის (შემდგომში „კომპანია“).

კომპანია 1996 წლის 2 მაისს დაარსდა და მოღვაწეობს საქართველოში. კომპანია წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას და დაარსებულია საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, რეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციაში საიდენტიფიკაციო ნომრით: 208150766

დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი იყო ბატონი აბდულქადირ ქეთენჯი. კომპანიის ბენეფიციარი მფლობელები შემდგომი მესაკუთრეები არიან:

	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
აბდულქადირ ქეთენჯი	75%	75%
შპს დუთი ფრი ინტერნშენალ	25%	25%
სულ	100%	100%

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა სხვადასხვა კატეგორიის საქონლის იმპორტი და რეალიზაცია.

შპს დუთი ფრი გლობალი მუშაობს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ თავისუფალ სავაჭრო ზონებში. 2019 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიას აქვს ერთი თავისუფალი ვაჭრობის პუნქტი, რომელიც მდებარეობს წითელ ხიდზე (აზერბაიჯანის საზღვარი). მაღაზიაში ძირითადად იყიდება თამბაქოს ნაწარმი, საჭმელი, კოსმეტიკური საშუალებები, სუნამოები, ალკოჰოლური და გამაგრილებელი სასმელები.

რეგისტრირებული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის რეგისტრირებული მისამართია ბესიკის ქუჩა 4, თბილისი, საქართველო. კომპანიის საქმიანობის ძირითადი ადგილი საქართველოა.

წარსადგენი ვალუტა. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში ("GEL"), თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

2 კომპანიის საოპერაციო გარემო

კომპანიის ძირითადი საქმიანობის ადგილია საქართველო. საქართველოს გააჩნია განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი გარკვეული მახასიათებლები, რაც მოიცავს შედარებით მაღალ ინფლაციის მაჩვენებელსა და საპროცენტო განაკვეთებს. ხშირია ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში და ინტერპრეტაციებში (შენიშვნა 19).

საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

ხელმძღვანელობას არ აქვს საშუალება ზუსტად იწინასწარმეტყველოს მოვლენათა ყველა შესაძლო განვითარება, რომელსაც შეიძლება გავლენა ჰქონდეს საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ის მიმართავს ყველა საჭირო ღონისძიებას კომპანიის ბიზნესის მდგრადობისა და განვითარების მხარდასაჭერად.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძველი. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან (ფასს) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობაში, პირვანდელი ღირებულების მეთოდით, როგორც ეს მოდიფიცირებულია ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარებით მათ რეალური ღირებულების საფუძველზე

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა წარმოდგენილია ქვემოთ. გარდა ფასს 16-ის - რომელიც ძალაშია 2019 წლის 1 იანვრიდან- მიღებით გამოწვეული სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებისა, აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულად გამოიყენება ყველა წარმოდგენილ პერიოდში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული (იხილეთ მე-5 და 24-ე შენიშვნა). ფინანსურ ინსტრუმენტებსა და ამონაგების აღიარებასთან დაკავშირებით 2018 წლის 31 დეკემბრამდე გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები წარმოდგენილია 24-ე შენიშვნაში.

ფასს-ის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის მოითხოვება გარკვეული კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებების გამოყენება. აგრეთვე, მოითხოვება ხელმძღვანელობის მიერ განსჯის გამოყენება, კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. საკითხები, რომლებიც მოიცავს უფრო მაღალი დონის ან სირთულის განსჯას, ან, შეფასებები და დაშვებები, რომელიც მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, განმარტებულია მე-4 შენიშვნაში.

უცხოური ვალუტის გადანაგარიშება. კომპანიის სამუშაო ვალუტა არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, სადაც ის ოპერირებს. კომპანიის სამუშაო და წარსადგენი ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი („ლ“). ფინანსური ანგარიშგებები წარმოდგენილია ქართულ ლარში („ლ“), რომელიც კომპანიის წარსადგენი ვალუტაა.

ოპერაციები და ნაშთები. ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირდება საწარმოს სამუშაო ვალუტაში შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო კურსით. უცხოური ვალუტის შემოსულობები და ზარალი, წარმოქმნილი ოპერაციების ანგარიშსწორებიდან და წლის ბოლოს ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების სამუშაო ვალუტაში გადანაგარიშებიდან საქართველოს ბანკის მიერ განსაზღვრული სავალუტო კურსით, აღიარდება მოცემული წლის მოგება-ზარალში. *იჯარის ვალდებულებებთან დაკავშირებული უცხოური ვალუტის შემოსულობები და ზარალი წარდგენილია მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, ფინანსური შემოსავლის/(ხარჯების), ნეტო ნაწილში.* ყველა სხვა უცხოური ვალუტის შემოსულობები და ზარალი, წარდგენილია მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, „უცხოური ვალუტის გაცვლის შემოსულობების/(ზარალის) წმინდად“, ნაწილში. წლის ბოლოს არსებული კურსით კონვერტაცია არ ვრცელდება არაფულად მუხლებზე, რომლებიც პირვანდელი ღირებულებითაა შეფასებული. უცხოურ ვალუტაში შეფასებული არაფულადი მუხლები, გადანაგარიშდება რეალური ღირებულების განსაზღვრის თარიღით არსებული სავალუტო კურსით. სავალუტო კურსის ცვლილებების გავლენა უცხოურ ვალუტაში რეალური ღირებულებით შეფასებულ არაფულად მუხლებზე აღირიცხება, როგორც რეალური ღირებულების შემოსულობის ან ზარალის ნაწილი.

2019 წლის 31 დეკემბრისთვის სებ-ის მიერ დადგენილი ძირითადი სავალუტო გაცვლითი კურსები იყო შემდეგი: აშშ დოლარი 1 = 2.8677 ლარს და 1 ევრო = 3.2095 ლარს (20-18 წლის 31 დეკემბერი 1 აშშ დოლარი = 2.6766 ლარს და 1 ევრო = 3.0701 ლარს). ამჟამად, ქართული ლარი არ არის თავისუფლად გაცვლადი ვალუტა საქართველოს ფარგლებს გარეთ.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, შემცირებული ცვეთის და გაუფასურების ანარიცხით, საჭიროებისამებრ. შემდგომი ხარჯები შესულია აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება როგორც ცალკე აქტივი, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს იმის ალბათობა, რომ ამ მუხლთან ასოცირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი შემოედინება კომპანიაში და ამ მუხლის ღირებულების სანდოდ შეფასება იქნება შესაძლებელი. უმნიშვნელო სარემონტო და ყოველდღიური საექსპლუატაციო დანახარჯები გაწევისთანავე აისახება ხარჯებში. ძირითადი საშუალების მნიშვნელოვანი ნაწილების ან კომპონენტების შეცვლის დანახარჯები კაპიტალიზდება და შეცვლილი ნაწილი ამოიღება ბალანსიდან. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ინდიკატორი. თუ მსგავსი ინდიკატორი არსებობს, ხელმძღვანელობა შეაფასებს ანაზღაურებად ღირებულებას, რომელიც განისაზღვრება აქტივის რეალურ ღირებულებასა, შემცირებული გაყიდვის დანახარჯებით, და მისი გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესით. საბალანსო ღირებულება მცირდება ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი აღიარდება მოცემული წლის მოგება-ზარალში საბალანსო ღირებულება მცირდება ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი აღიარდება მოცემული წლის მოგება-ზარალში. აქტივისთვის გასულ წლებში აღიარებული გაუფასურების ზარალი ანუღირდება, თუ ადგილი ჰქონდა აქტივის გამოყენების ღირებულების ან რეალური ღირებულების, შემცირებული გაყიდვის დანახარჯებით, განსაზღვრისას გამოყენებული შეფასებების ცვლილებებს.

გაყიდვიდან მიღებული შემოსულობები და ზარალი განისაზღვრება შემოსული თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით და აღიარდება მოცემული წლის მოგება-ზარალში სხვა საოპერაციო შემოსავალში ან ხარჯებში.

ცვეთა. დაუმთავრებელ მშენებლობას ცვეთა არ ერიცხება. სხვა ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით, მათი ღირებულების ნარჩენი ღირებულების გადასანაწილებლად მათ დარჩენილ სასარგებლო მომსახურების ვადაზე:

შენობა-ნაგებობები
საოფისე აღჭურვილობა
ავეჯი და სხვა უძრავი ნივთები
ავტომობილები

სასარგებლო მომსახურების ვადა წლებში

30
2 -დან 10-წლამდე
2-დან 5 წლამდე
5

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის შეფასებული ღირებულება, რომელსაც კომპანია ამჟამად მიიღებდა აქტივის გასვლიდან, შემცირებული გასვლის დანახარჯებით, აქტივი უკვე იმ ხნის და იმ მდგომარეობაში რომ იყოს, რომელსაც მოსალოდნელია, რომ ადგილი ექნებოდა მისი სასარგებლო მომსახურების ვადის დასასრულს. აქტივების სალიკვიდაციო ღირებულებები და სასარგებლო მომსახურების ვადები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაისინჯება და შესწორდება, საჭიროების შემთხვევაში.

აქტივები გამოყენების უფლებით. კომპანია იჯარით იღებს სხვადასხვა შენობა-ნაგებობებს (მაღაზიებს, საოფისე ფართს, საწყობს) და ავტომობილებს. ხელშეკრულებები შეიძლება მოიცავდეს საიჯარო და არა-საიჯარო კომპონენტებს. კომპანია ანაწილებს ხელშეკრულებაში ანაზღაურებას საიჯარო და არა-საიჯარო კომპონენტებზე, მათი შესაბამისი ცალკეული ფასების მიხედვით.

იჯარიდან წარმოქმნილი აქტივები თავდაპირველად ფასდება ამჟამინდელი ღირებულების საფუძველზე.

აქტივები გამოყენების უფლებით შეფასდება თვითღირებულებით და შედგება შემდეგისგან:

- იჯარის ვალდებულების თავდაპირველი შეფასების თანხა
- ნებისმიერი საიჯარო გადახდა, რომელიც განხორციელებულია დაწყების თარიღით ან მანამდე, შემცირებული ნებისმიერი მიღებული საიჯარო წამახალისებლებით;
- ნებისმიერი თავდაპირველი პირდაპირი ხარჯი, და
- აქტივის იჯარის შეთანხმებით მოთხოვნილ მდგომარეობამდე აღდგენის ხარჯები.

აქტივები გამოყენების უფლებით საერთოდ გაუფასურებას ექვემდებარება აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადას და იჯარის ვადას შორის უმოკლესი პერიოდის განმავლობაში, წრფივი მეთოდის საფუძველზე. თუ კომპანიას გააჩნია გონივრული რწმუნება, რომ ის გამოიყენებს შესყიდვის ოფციონს, აქტივის გამოყენების უფლებით დაერიცხება ცვეთა მითითებული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. გამოყენების უფლებით აქტივების მუხლების ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდის საფუძველზე მათი დადგენილი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში შემდეგნაირად:

შენობა-ნაგებობები
ავტომობილები

სასარგებლო მომსახურების ვადა წლებში

3 - დან 30 წლამდე

2 - დან 5 წლამდე

არამატერიალური აქტივები. კომპანიის არამატერიალურ აქტივებს გააჩნიათ განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადა და უპირველესად მოიცავს კაპიტალიზებულ პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიებს.

შემენილი კომპიუტერული პროგრამის ლიცენზიების კაპიტალიზაცია ხდება მათი შემენისა და გამოყენებისათვის გაწეული ხარჯების საფუძველზე. კომპიუტერულ პროგრამებთან დაკავშირებული ყველა სხვა ხარჯები, მაგ. მისი მოვლა-შენახვა, დაირიცხება მათი გაწევისას. კომპიუტერული პროგრამების ლიცენზიების ამორტიზაცია ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით 2–5 წლამდე. გაუფასურების შემთხვევაში, არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება გამოყენებულ ღირებულებასა და რეალურ ღირებულებას - შემცირებული გასვლის ხარჯებით- შორის უდიდესით.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივებს, რომლებსაც ცვეთა ერიცხებათ, მიმოიხილავენ გაუფასურების თვალსაზრისით, როდესაც მოვლენების ან ვითარების ცვლილება მიუთითებს რომ შეიძლება საბალანსო ღირებულება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აღიარდება იმ თანხით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი თანხა არის აქტივის რეალურ ღირებულებას, შემცირებული გაყიდვის დანახარჯებით, და მის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გაუფასურების შეფასების მიზნებისათვის აქტივებს აჯგუფებენ რაც შეიძლება უმცირეს დონეზე, რომელზეც არსებობს დამოუკიდებელი ფულადი ნაკადები (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულები). არაფინანსური აქტივების ადრინდელი გაუფასურება ყოველი საანგარიშგებო თარიღით გადაისინჯება გაუფასურების შესაძლო ანუღირების თვალსაზრისით.

ფინანსური ინსტრუმენტები - შეფასების ძირითადი პირობები. მათი კლასიფიკაციის მიხედვით, ფინანსური ინსტრუმენტები აისახება რეალური ღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით, როგორც ეს აღწერილია ქვემოთ.

რეალური ღირებულება წარმოადგენს ფასს, რომელიც მიიღებოდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდებოდა ვალდებულების გადასაცემად შეფასების თარიღით ბაზრის მონაწილეებს შორის გარიგებისას. რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა აქტიური ბაზარი. აქტიური ბაზარი გახლავთ ბაზარი, სადაც აქტივთან ან ვალდებულებასთან დაკავშირებული ოპერაციები საკმარისად ხშირად და ინტენსიურად ხორციელდება იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მიმდინარე ინფორმაცია ფასის შესახებ.

იმ ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება, რომლებითაც ვაჭრობენ აქტიურ ბაზარზე, ფასდება ინდივიდუალური აქტივის ან ვალდებულების კოტირებული ფასის გამრავლებით საწარმოს მიერ ფლობილ რაოდენობაზე. ეს ასეა მაშინაც კი, როდესაც ბაზრის ჩვეულებრივი დღიური ვაჭრობის მოცულობა არ არის საკმარისი ფლობილი რაოდენობის ასათვისებლად და ერთი გარიგებით პოზიციის გაყიდვის დაკვეთამ შეიძლება გავლენა იქონიოს კოტირებულ ფასზე.

შეფასების ისეთი ხერხები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელები ან თავისუფალ, მხოლოდ საკუთარი ინტერესის მქონე პირებს შორის გარიგებები ან ინვესტიციის მიმღების ფინანსური მონაცემების გათვალისწინება, გამოიყენება იმ კონკრეტული ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შეფასებისათვის, რომელთა საბაზრო ფასის შესახებ ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი.

რეალური ღირებულების შეფასებების ანალიზი რეალური ღირებულების იერარქიაში შემდეგნაირად ხორციელდება: (i) პირველი დონე გახლავთ იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზარზე კოტირებული (დაუკორექტირებელი) ფასებით შეფასება, (ii) მეორე დონის შეფასება გახლავთ შეფასების ხერხების გამოყენებით შეფასება, როდესაც აქტივის ან ვალდებულების ყველა არსებითი მონაცემები დაკვირვებადია, პირდაპირ (მაგ. ფასები) ან ირიბად (მაგ. წარმოებულია ფასებიდან), და (iii) მესამე დონის შეფასებები გახლავთ შეფასებები, რომლებიც არ ეფუძნება მხოლოდ დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (ანუ შეფასებისათვის საჭიროა მნიშვნელოვანი არა-დაკვირვებადი ინფორმაცია).

რეალური ღირებულების იერარქიაში დონეებს შორის ტრანსფერს, ითვლება, რომ ადგილი ჰქონდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს. იხილეთ შენიშვნა 21.

გარიგების დანახარჯები გახლავთ დამატებით დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან გასვლას. დამატებითი დანახარჯი არის დანახარჯი, რომელიც არ გაიწეოდა, მოცემული ოპერაცია რომ არ განხორციელებულიყო. გარიგების დანახარჯები მოიცავენ სააგენტოებისა და ფასიანი ქაღალდების ბირჟისთვის (მათ შორის თანამშრომლებისთვის, რომლებიც მოქმედებენ, როგორც გაყიდვების აგენტები) გადახდილ საფასურს და საკომისიოს, და აგრეთვე სატრანსფერო გადასახადებს და მოსაკრებლებს. გარიგების დანახარჯები არ მოიცავენ სავალო პრემიას ან ფასდაკლებებს, ფინანსურ დანახარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან მფლობელობასთან დაკავშირებულ დანახარჯებს.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ამორტიზებული ღირებულება (“AC”) არის თანხა, რომელიც მოიცავს ფინანსური ინსტრუმენტის საწყისი აღიარების თანხას გამოკლებული ძირითადი თანხის გადახდა, დამატებული დაგროვილი პროცენტი და ფინანსური აქტივების შემთხვევაში, შემცირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალით (“ECL”). დაგროვილი პროცენტი მოიცავს საწყისი აღიარებისას გადავადებული გარიგების დანახარჯების ამორტიზაციას და ნებისმიერ პრემიას ან დისკონტს ვადის დაფარვამდე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დაგროვილი საპროცენტო შემოსავალი და დაგროვილი საპროცენტო ხარჯი, მათ შორის როგორც დაგროვილი კუპონი და ამორტიზებული დისკონტი, ან პრემია (წარმოშობისას გადავადებული საფასურის ჩათვლით, თუ ასეთი არსებობს) ცალკე არ აისახება და შედის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შესაბამისი მუხლების საბალანსო ღირებულებაში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე გადანაწილების მეთოდი ისე, რომ მიღწეულ იქნეს მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) საბალანსო ღირებულებაზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ზუსტად დისკონტირდება სავარაუდო მომავალი ფულადი გადახდები ან შემოსავლები (მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გარეშე) ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე, ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადაზე ან საჭიროების შემთხვევაში, უფრო ხანმოკლე პერიოდზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირდება ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების ფულადი ნაკადები პროცენტის შემდეგი ფასწარმოქმნის თარიღამდე, გარდა პრემიისა ან ფასდაკლებისა, რაც ასახავს საკრედიტო სპრედს ინსტრუმენტის მითითებულ მცოცავ განაკვეთზე, ან სხვა ცვლადებზე, რომელთა მნიშვნელობის საბაზრო განაკვეთების მიხედვით განსაზღვრა არ ხდება. მსგავსი პრემიები ან ფასდაკლებები ამორტიზდება ინსტრუმენტის მთლიანი მომსახურების ვადის განმავლობაში. დისკონტირებული ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეების მიერ ყველა გადახდილ ან მიღებულ საფასურს, რაც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია. შემენილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივების (“POCI”) შემთხვევაში თავდაპირველი აღიარებისას უნდა განისაზღვროს საკრედიტო რისკით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, მაგალითისთვის, სახელშეკრულებო გადახდების ნაცვლად, ის თავდაპირველი აღიარებისას მოსალოდნელი ფულადი სახსრების საფუძველზე გამოითვლება.

ფინანსური ინსტრუმენტები – თავდაპირველი აღიარება. ფინანსური ინსტრუმენტები თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებით, კორექტირებული ტრანზაქციების დანახარჯებით. საწყისი აღიარებისას რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა ტრანზაქციების ფასი. საწყისი აღიარებაზე შემოსულობა ან ზარალი მხოლოდ მაშინ აისახება, როდესაც რეალური ღირებულება და ტრანზაქციის ფასი განსხვავებულია, რომლის მტკიცებულებასაც შეიძლება წარმოადგენდეს იმავე ინსტრუმენტის სხვა დაკვირვებადი მიმდინარე საბაზრო ოპერაციები, ან შეფასების ხერხი, რომელიც გულისხმობს მხოლოდ დაკვირვებადი საბაზრო მონაცემების გამოყენებას. თავდაპირველი აღიარების შემდეგ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი აღიარდება ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით (AC) და სავალო ინსტრუმენტებში განხორციელებული ინვესტიციები, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით, სხვა სრული შემოსავლის გავლით, რაც გამოიწვევს მყისეულ საბუღალტრო ზარალს.

ფინანსური აქტივების ყველა შესყიდვა და გაყიდვა, რომელიც მოითხოვს საბაზრო კონვენციის ან რეგულაციის მიხედვით დროის გარკვეულ მონაკვეთში მიწოდებას („რეგულარული გზით“ შესყიდვები და გაყიდვები) გატარდება იმ სავაჭრო თარიღით, რომელზეც კომპანია ფინანსური აქტივის მიწოდებას ახორციელებს. ყველა სხვა შესყიდვები აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანია ხდება მხარე ინსტრუმენტის სახელშეკრულებო დებულებებში.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – შეფასების კატეგორიები. კომპანია ფინანსურ აქტივებს შემდეგი შეფასების კატეგორიებად აჯგუფებს: „რეალური ღირებულებით, „მოგება-ზარალში ასახვით“ (FVTPL)“, „რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“ (FVOCI) და ამორტიზებული ღირებულებით“ (AC). ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება დამოკიდებულია: (i) კომპანიის ბიზნეს მოდელზე, რომელიც გამოიყენება ფინანსური აქტივების მართვისთვის; და (ii) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე.

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ბიზნეს მოდელი. ბიზნეს მოდელი ასახავს, თუ როგორ მართავს კომპანია თავის აქტივებს ფულადი ნაკადების წარმოსაქმნელად – კომპანიის მიზანია (i) ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით (‘სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად ფლობილი’), თუ (ii) როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება, ისე აქტივების გაყიდვიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადების მიღება (‘სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად და გასაყიდად ფლობილი’) ან, თუ არც (i) და არც (ii) შესაფერისი არ არის, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება „სხვა“ ბიზნეს მოდელში და შეფასდება რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL).

კომპანიის აქტივებისთვის (პორტფელის დონეზე) ბიზნეს მოდელი განისაზღვრება კომპანიის მიერ შეფასების თარიღით ხელმისაწვდომი პორტფელისთვის დადგენილი მიზნების მისაღწევად განხორციელებული საქმიანობის შესახებ შესაფერისი მტკიცებულების საფუძველზე.

კომპანიის მიერ ბიზნეს მოდელის განსაზღვრისას გათვალისწინებულია ფაქტორები, რომლებიც მოიცავს პორტფელის დანიშნულებას და შემადგენლობას, გამოცდილებას, თუ როგორ მოხდა ფულადი სახსრების შეგროვება შესაბამისი აქტივებისთვის, როგორ ხდება რისკების შეფასება და მართვა, როგორ ხდება აქტივების წარმადობის შეფასება.

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ფულადი ნაკადების მახასიათებლები. როდესაც ბიზნეს მოდელი გულისხმობს აქტივების ფლობას სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად და გასაყიდად, მაშინ კომპანია აფასებს ფულადი ნაკადები წარმოადგენენ თუ არა მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას (SPPI). ფინანსური აქტივების, ჩართული წარმოებულებით, მთლიანად გათვალისწინება ხდება იმის განსაზღვრისას, ფულადი ნაკადები შესაბამისობაშია თუ არა SPPI-მახასიათებელთან. შეფასებისას კომპანია ითვალისწინებს, სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები საბაზისო სასესხო ხელშეკრულების თანმიმდევრულია თუ არა, ანუ პროცენტში მხოლოდ საკრედიტო რისკი და ფულის დროითი ღირებულებაა გათვალისწინებული თუ სხვა საბაზისო რისკები და მოგების მარჟა.

როდესაც სახელშეკრულებო პირობები მოიცავს რისკს ან ცვალებადობას, რომელიც საბაზისო სასესხო ხელშეკრულების თანმიმდევრულია, მაშინ ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება და შეფასდება, როგორც „რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგება-ზარალში ასახვით“. SPPI-ს შეფასება ხდება აქტივის თავდაპირველი აღიარებისას და შემდეგ მისი ხელახლა შეფასება არ ხდება.

ფინანსური აქტივები – რეკლასიფიკაცია. ფინანსური აქტივები მხოლოდ მაშინ რეკლასიფიცირდება, როდესაც პორტფელის მართვის ბიზნეს-მოდელი მთლიანად იცვლება. რეკლასიფიკაციას პერსპექტიული გავლენა აქვს და ტარდება ბიზნეს-მოდელის შეცვლიდან პირველი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისიდან. საწარმოს არ შეუცვლია მისი ბიზნესის მოდელი მიმდინარე და შედარებითი პერიოდის განმავლობაში და არ განუხორციელებია რაიმე სახის რეკლასიფიკაცია.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების გაუფასურება – საკრედიტო ზარალის ანარიცხი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის. კომპანია პერსპექტიულ საფუძველზე აფასებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ამორტიზებული ღირებულებით და FVOCI-ით შეფასებული სავალო ინსტრუმენტებისთვის, ისევე როგორც სავალო ვალდებულებებისა და ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილი რისკებისთვის, სახელშეკრულებო აქტივების შემთხვევაში. კომპანია ყოველი საანგარიშგებო თარიღით აფასებს ფინანსური და სახელშეკრულებო აქტივების მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს და აღიარებს წმინდა გაუფასურების ზარალს. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაში აისახება: (i) მიუკერძოებელი და ალბათობით შეწონილი თანხა, რომელიც განისაზღვრება შესაძლო შედეგების სპექტრის შეფასებით, (ii) ფულის დროითი ღირებულება და (iii) ყველა მიზანშეწონილი და დასაბუთებადი ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომია მეტისმეტი დანახარჯებისა და ძალისხმევის გაწევის გარეშე თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს წარსული მოვლენების, არსებული მდგომარეობისა და სამომავლო ვითარების პროგნოზის შესახებ.

კომპანია, მისი სავაჭრო მოთხოვნების სიცოცხლის ხანგრძლივობის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალის გამოსათვლელად, გამარტივებულ მიდგომას იყენებს. შესაბამისად, კომპანია არ ადევნებს თვალყურს საკრედიტო რისკის ცვლილებებს, ამის ნაცვლად, ის აღიარებს ზარალის ანაზღაურებას სიცოცხლის ხანგრძლივობის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე, ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის.

ხელმძღვანელობამ დაასკვნა, რომ თითოეული სესხის საკრედიტო რისკის დადგენას შესაბამისი თავდაპირველი აღიარების თარიღით, დასჭირდება ხარჯის გაწევა და ძალისხმევა. კომპანიამ განსაზღვრა სრული სიცოცხლის ხანგრძლივობის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, ანუ სიცოცხლის ხანგრძლივობის ECL, რომელიც ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე, ყველა შესაძლო დეფოლტის მოვლენის შედეგია (მოხსენიებულია, როგორც ეტაპი 2 და ეტაპი 3). PD შეფასების მიდგომისთვის, კომპანია იყენებს სარეიტინგო სააგენტოების მიერ წარმოებულ ისტორიულ PD-ს. კომპანია გამოთვლის ECL თანხას სხვა მოთხოვნებზე, ზარალის განაკვეთების გამოყენებით, რომლებიც განისაზღვრება საექსპერტო გადაწყვეტილების საფუძველზე. საექსპერტო განსჯის გამოყენება გონივრულად იქნა მიჩნეული ისტორიული ინფორმაციის არარსებობის გამო, რაც მატრიცის შემუშავების საშუალებას იძლევა. გაუფასურების განაკვეთები მრავლდება შესაბამისი მოთხოვნების ნაშთზე იმ პერიოდისთვის, როდესაც თანხის გაანგარიშება ხდება და არა-ანაზღაურებად თანხადაა ჩათვლილი.

ყველა შემთხვევაში, კომპანია მიიჩნევს, რომ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა, როდესაც სახელშეკრულებო გადასახდელები 30 დღეზე მეტია ვადაგადაცილებული.

კომპანია თვლის, რომ ფინანსური აქტივი დეფოლტურია, როდესაც სახელშეკრულებო გადასახდელი 90 დღეზე მეტია ვადაგადაცილებული. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, კომპანიამ აქტივი დეფოლტურად მაშინაც ჩათვალოს, როდესაც შიდა და გარე ინფორმაცია მიუთითებს, რომ სავარაუდოა, კომპანიამ ვერ მიიღოს დასაფარი სახელშეკრულებო თანხები სრულად, სანამ გაითვალისწინებს კომპანიის მიერ ფლობილ ნებისმიერ საკრედიტო გაუმჯობესებებს.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები – ჩამოწერა. ფინანსური აქტივები მთლიანად ან ნაწილობრივ ჩამოიწერება, როდესაც კომპანია ამოწურავს თანხის ამოღების ყველა პრაქტიკულ შესაძლებლობას და დაასკვნის, რომ აღარ არსებობს თანხის ამოღების გონივრული მოლოდინი. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტას.

ფინანსური აქტივები - აღიარების შეწყვეტა. კომპანია ფინანსური აქტივების აღიარებას წყვეტს, როდესაც (ა) აქტივები გამოსყიდულია ან აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღება სხვაგვარად შეწყდება ან (ბ) კომპანიას გადაცემული აქვს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან დადებული აქვს საკვალიფიკაციო გამტარი გარიგება, რომლითაც (i) გადაცემულია აგრეთვე აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად მთელი რისკი და უკუგება ან (ii) საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და უკუგება არც გადაცემულია და არც შენარჩუნებულია, მაგრამ კონტროლი არ არის შენარჩუნებული.

კონტროლი შენარჩუნებულია, როდესაც პარტნიორს არ გააჩნია აქტივის მთლიანობაში დაუკავშირებელ მესამე მხარეზე მიყიდვის პრაქტიკული შესაძლებლობა გაყიდვაზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები – შეფასების კატეგორიები. ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია, როგორც „შემდგომი ამორტიზებული ღირებულებით“ შეფასებული („AC“), გარდა (i) “რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ვალდებულებებისა” (“FVTPL”): ეს კლასიფიკაცია მოიცავს წარმოებულებს, სავაჭროდ ფლობილ ფინანსურ ვალდებულებებს (მაგ., ფასიანი ქაღალდების მოკლე პოზიცია), პირობით ანაზღაურებას, რომელიც შემძენის მიერ არის აღიარებული საწარმოთა გაერთიანებისას და სხვა ფინანსურ ვალდებულებებს, რომლებსაც ეს კატეგორია აქვთ მინიჭებული თავდაპირველი აღიარებისას და (ii) ფინანსური საგარანტიო ხელშეკრულებებისა და სასესხო ვალდებულებებისა.

ფინანსური ვალდებულებები – აღიარების შეწყვეტა. ფინანსური ვალდებულებების აღიარება შეწყდება, როდესაც ისინი დაიფარება (ანუ როდესაც ხელშეკრულებაში მითითებული ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ვადა ამოწურება).

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგადაფარვა. ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების იურიდიულად აღსრულებადი უფლება და არსებობს ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორების ან ერთდროულად აქტივის რეალიზების და ვალდებულების ანგარიშსწორების განზრახვა. ურთიერთგადაფარვის მსგავსი უფლება (ა) არ უნდა იყოს დამოკიდებული რაიმე სამომავლო მოვლენაზე და (ბ) იურიდიულად აღსრულებადი უნდა იყოს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ გარემოებებში: (i) ჩვეულებრივი ბიზნეს-საქმიანობისას, (ii) დეფოლტი და (iii) გადახდისუუნარობა ან გაკოტრება.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულს საღაროში, მოთხოვნამდე დეპოზიტებს ბანკებში და სხვა მოკლევადიან, მაღალი ლიკვიდობის მქონე ინვესტიციებს, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამ თვემდეა. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით, რადგან: (i) ისინი არსებობს სახელშეკრულებო და იმ ფულადი ნაკადის მიღებისთვის, რომელიც მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას (“SPPI”) წარმოადგენს, და (ii) მათ მინიჭებული არა აქვთ რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებულის კატეგორია. მახასიათებლებს, რომლებიც მხოლოდ კანონმდებლობით განისაზღვრება, როგორიცაა მაგალითად სავალო ვალდებულებების რესტრუქტურისაციის კანონმდებლობა გარკვეულ ქვეყნებში, გავლენა არა აქვს მხოლოდ ძირითადი და პროცენტის თანხების გადახდის ტესტზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის სახელშეკრულებო პირობებში აისახება ისე, რომ ის მაინც ძალაში იქნება, კანონმდებლობა რომც შეიცვალოს.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომში აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. სავაჭრო და სხვა ვალდებულებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაქტის ხელშეკრულების ფარგლებში ასრულებს თავის მოვალეობებს. იგი თავდაპირველად რეალური ღირებულებით აღიარდება, შემდგომში კი აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

იჯარის ვალდებულებები. იჯარისგან გამოწვეული ვალდებულებები თავდაპირველად შეფასდება ამჟამინდელი ღირებულების საფუძველზე. საიჯარო ვალდებულებები მოიცავს ფიქსირებული საიჯარო გადასახდელების წმინდა ამჟამინდელ ღირებულებას (არსებითი ფიქსირებული გადასახადების ჩათვლით), საიჯარო წამახალისებელი თანხების შემცირებით.

განსხვავება საიჯარო გადასახადებს შორის, რომლებიც განისაზღვრება ყოველთვიური გაყიდვების საფუძველზე ბენზინგასამართ სადგურებზე და მინიმალური სახელშეკრულებო საიჯარო გადასახადები, განიხილება როგორც ოპერაციული საიჯარო ხარჯები და აისახება მოგება-ზარალში

გაგრძელების და შეწყვეტის ოფციონები შეყვანილია კომპანიის მთელ რიგ იჯარებში. ეს პირობები გამოიყენება ოპერაციული მოქნილობის მაქსიმალურად გაზრდის მიზნით, კომპანიის საქმიანობაში გამოყენებული აქტივების მართვის თვალსაზრისით. გაგრძელების ოფციონების უმრავლესობა ხორციელდება მხოლოდ კომპანიის მიერ და არა შესაბამისი გამქირავებლის მიერ, ხოლო შეწყვეტის ოფციონების განხორციელება შეუძლია როგორც კომპანიას, ასევე შესაბამისი მეიჯარეს. გაგრძელების ოფციონები (ან შეწყვეტის ოფციონის შემდეგი პერიოდის) შედის მხოლოდ საიჯარო ვადაში, თუ საიჯარო ხელშეკრულება გაგრძელდება (ან არ წყდება). საიჯარო გადასახადები, რომლებიც უნდა განხორციელდეს გონივრულად გარკვეული გაგრძელების ოფციონებით, ასევე შედის ვალდებულების შეფასებაში.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

იჯარის გადახდები დისკონტირდება იჯარით ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. თუ ეს განაკვეთი დროულად ვერ განისაზღვრება, რაც კომპანიის იჯარებთან დაკავშირებით ხშირად ხდება, გამოიყენება კომპანიის ზღვრული სასესხო განაკვეთი, რომელიც ის განაკვეთია, რაც კომპანიას უნდა გადაეხადა იმისათვის, რათა ესესხებინა თანხები, რომლებიც აუცილებელია იმ აქტივის მოსაპოვებლად, რომელსაც გააჩნია იგივე ღირებულება, რაც აქტივის გამოყენების უფლებით, იმავე ეკონომიკურ გარემოში, იმავე პირობებით, უზრუნველყოფით და მდგომარეობით.

ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრად, კომპანია იყენებს სესხების საბაზრო საპროცენტო განაკვეთებს სხვადასხვა ვარიაციებით, საიჯარო ხელშეკრულების ვალუტისა და ვადის შესაბამისად. ეს მონაცემები საჯაროდ ხელმისაწვდომია საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებ – გვერდზე.

იჯარის გადახდები განაწილდება მირ თანხასა და ფინანსურ ხარჯებს შორის. ფინანსური ხარჯები დაირიცხება მოგებაში ან ზარალში იჯარის პერიოდის განმავლობაში იმისათვის, რომ იწარმოებოდეს მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების ნარჩენ ნაშთზე თითოეული პერიოდისთვის.

მოკლევადიან იჯარასთან დაკავშირებული გადასახადები აღიარებულია წრფივი მეთოდის საფუძველზე, როგორც მოგება ან ზარალის ხარჯი. მოკლევადიანი იჯარები წარმოადგენს იმ იჯარებს, რომლების საიჯარო ვადა 12 თვე ან ნაკლებია.

მოგების გადასახადი. მოგების გადასახადი ასახულია ფინანსურ ანგარიშგებაში არსებული კანონმდებლობის ან საანგარიშგებო პერიოდისთვის ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვითაც კომპანიებს (ბანკების, საკრედიტო დაწესებულებების, სადაზღვეო კომპანიების და ლომბარდების გარდა) 2018 წლის 1 იანვრიდან არ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მანამ, სანამ არ მოხდება ან დივიდენდების გაცემის გზით აღნიშნული მოგების განაწილება ან განაწილებულად მიჩნევა.

ფიზიკური პირებზე ან არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემის მომენტში ხდება 15% მოგების გადასახადის დარიცხვა აგროსილ ღირებულებაზე (მაგ. წმინდა დივიდენდები აიგროსება შემადგენელი 5%-იანი გადასახადით, საჭიროებისამებრ, და გაიყოფა 0.85-ზე). 2018 წლის 1 იანვრიდან მიღებული მოგებიდან რეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემა თავისუფლდება მოგების გადასახადისგან.

2008 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 1 იანვრამდე პერიოდში აკუმულირებულ მოგებაზე დივიდენდები ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას მთლიან თანხაზე, შემცირებული შესაბამისი საგადასახადო კრედიტის თანხით, რომელიც გამოითვლება, როგორც დასაბეგრ მოგებაზე, იგივე პერიოდში მთლიანი წმინდა მოგების საპირისპიროდ, გამოცხადებული და გადახდილი კორპორატიული მოგების გადასახადის წილი, გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდებზე. თუმცა, საგადასახადო კრედიტის თანხა არ უნდა აღემატებოდეს განაწილებულ დივიდენდებზე ფაქტიურ მოგების გადასახადს.

დივიდენდების განაწილების შედეგად წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები, მიუხედავად ფაქტიურად გადახდის თარიღისა, ან იმ პერიოდში, როდესაც განხორციელდა დივიდენდების გადახდა. პირობითი მოგების საგადასახადო ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება დივიდენდების გადახდისას, არ აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. დივიდენდების განაწილების გარდა გადასახადი გადასახდელია იმ ხარჯებსა და სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი ეკონომიკურ საქმიანობასთან - აქტივების ან მომსახურების უფასო მიწოდება და წარმომადგენლობითი დანახარჯები, რაც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ თანხას.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ყველა გადახდილი ავანსი საწარმოებზე, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში და სხვა გარკვეული ოპერაციები მსგავს საწარმოებთან, ისევე როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები, მაშინვე დაბეგვრადია. მსგავსი გადასახადები, სხვა გადასახადებთან ერთად, პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული საწარმოებისაგან აღნიშნული გადახდილი ავანსის სანაცვლოდ მიღებულ აქტივებზე ან მომსახურებებზე მოთხოვნილი საგადასახადო კრედიტის გამოკლებით, ან ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტებზე გაცემული სესხების ამოღების გამოკლებით, აღირიცხება საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებში ასახულ მუხლში - „გადასახადი, მოგების გადასახადის გარდა“.

გაურკვეველი საგადასახადო პოზიცია. ხელმძღვანელობა კომპანიის გაურკვეველ საგადასახადო პოზიციას ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღირიცხება მოგების გადასახადისთვის, რაც განისაზღვრება ხელმძღვანელობის მიერ, რომ უფრო მეტად სავარაუდოა, რომ გამოიწვევს დამატებითი გადასახადების დაკისრებას საგადასახადო ორგანოების მხრიდან კითხვები რომ დაისვას. აღნიშნული შეფასება ეფუძნება იმ საგადასახადო კანონმდებლობის ან მსგავს საკითხებზე სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტირებას, რომლებიც ძალაშია ამჟამად ან ძალაში იქნება საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის. საურავებთან, პროცენტთან და მოგების გარდა სხვა გადასახადებთან დაკავშირებული ვალდებულებები აღიარდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ვალდებულებების დასაფარად საჭირო ხარჯების ხელმძღვანელების საუკეთესო შეფასების საფუძველზე. გაურკვეველი საგადასახადო პოზიციის კორექტირება აღირიცხება მოგების გადასახადის ხარჯში.

დამატებითი ღირებულების გადასახადი. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად, საქონლის გაყიდვა დუთი ფრი (უბაჟო) ზონებში მოქმედი საწარმოების მიერ გათავისუფლებულია დღგ-სგან, გამოქვითვის უფლებით

გამომავალი დამატებული ღირებულების გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია სხვა გარიგებებთან, გარდა ზემოთ ნახსენებებისა, საგადასახადო ორგანოებისათვის გადასახდელი ხდება მომხმარებლებისთვის საქონლის ან მომსახურების მიწოდებისთანავე. შემავალი დღგ ჩვეულებრივ ანაზღაურდება გამომავალი დღგ-სგან დღგ-ს ინვოისის მიღებისთანავე. საგადასახადო ორგანოების მიერ ნებადართულია დღგ-ს ანგარიშსწორება წმინდა საფუძველზე. გაყიდვასა და შესყიდვასთან დაკავშირებული დღგ აღიარებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წმინდა საფუძველზე. როდესაც მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები გაკეთებულია, გაუფასურების ზარალის აღირიცხვა ხდება მოვალის მთლიანი თანხისთვის, დღგ-ს ჩათვლით.

მარაგები. მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება ფიფო-ს საფუძველზე და შედგება შესყიდვის ფასისგან, წარმოებისა და გადამუშავების საფასურისგან, და სხვა პირდაპირ დაკავშირებული ხარჯებისაგან, რომელიც გაიწევა მარაგების მიმდინარე კონდიციამდე და მდებარეობამდე მისაყვანად. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებული გასაყიდი ფასი ჩვეულებრივი ბიზნეს-საქმიანობისას, შემცირებული დასრულების შეფასებული დანახარჯებით და გაყიდვის ხარჯებით.

მფლობელების კაპიტალი. კომპანიის მითითებული მფლობელების კაპიტალის ოდენობას განსაზღვრავენ კომპანიის აქციონერები. კომპანიის საწესდებო კაპიტალში ცვლილებები შედის მხოლოდ კომპანიის აქციონერების გადაწყვეტილების საფუძველზე.

დივიდენდები. დივიდენდები კაპიტალში აისახება იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოცემის დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდები აისახება შემდგომი მოვლენების შესახებ განმარტებით შენიშვნებში.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხები. ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხები არის გაურკვეველი ვადისა და ოდენობის არაფინანსური ვალდებულებები. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას გააჩნია მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული მოვალეობა წარსული მოვლენების შედეგად და მოსალოდნელია, რომ ამ მოვალეობის შესასრულებლად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გადინება და შესაძლებელია ამ მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება. ანარიცხების შეფასება ხდება ვალდებულების ანგარიშსწორებისათვის საჭირო მოსალოდნელი დანახარჯების დისკონტირებული ღირებულებით, დაბეგრამდე განაკვეთის გამოყენებით, რაც ასახავს ფულის დროითი ღირებულების საბაზრო შეფასებებს და ამ მოვალეობისათვის სპეციფიკურ რისკებს. დროის გასვლის გამო ანარიცხების ზრდა აღიარდება საპროცენტო ხარჯის სახით ფინანსურ დანახარჯებში.

გადასახადები და ხარჯები, როგორცაა მაგალითად მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადები ან მარეგულირებლის საზღაური, დაფუძნებული იმ პერიოდთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე, რომელიც წინ უსწრებს გადახდის მოვალეობის წარმოქმნას, ვალდებულებების სახით აღიარდება მაშინ, როდესაც მოხდება მავალდებულებელი მოვლენა, რომელიც გადასახადის გადახდის ვალდებულებას წარმოქმნის, რაც განისაზღვრება კანონმდებლობით, რომელიც განაპირობებს მოცემული გადასახადის გადახდის ვალდებულებას. თუ გადასახადი მავალდებულებელი მოვლენის მოხდენამდე გადაიხდება, იგი აღიარდება გადახდილი ავანსის სახით.

ამონაგების აღიარება. ამონაგები არის შემოსავალი, რომელიც წარმოიქმნება კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობისას. ამონაგები აღიარდება გარიგების ფასით. გარიგების ფასი არის ანაზღაურება, რომლის მიღებასაც კომპანია მოელის დაპირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის შედეგად, მესამე მხარის სახელით ამოღებული თანხების გარეშე.

ამონაგები აღიარდება ფასდათმობების, საქონლის დაბრუნების და დღგ-ის გარეშე.

კომპანია აღიარებს შესრულების ვალდებულებას ყველა შეთავაზებისათვის დროის გარკვეულ მონაკვეთში, რადგან თითოეული შეთავაზებისათვის არსებობს მხოლოდ ერთი შესრულების ვალდებულება.

საქონლის გაყიდვა. გაყიდვა აღიარდება საქონელზე კონტროლის გადაცემისას, ანუ როდესაც საქონელი მიეწოდება მომხმარებელს, მომხმარებელს სრული კონტროლი აქვს საქონელზე და არ არსებობს შეუსრულებელი მოვალეობა, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს მომხმარებლის მიერ საქონლის მიღებაზე. მიწოდება ხდება მაშინ, როდესაც საქონელი მიწოდებული იქნება კონკრეტულ ადგილზე, მოძველებისა და დაკარგვის რისკები მომხმარებელს გადაეცემა მომხმარებელი მიიღებს საქონელს ხელშეკრულების შესაბამისად, ან მიღების ვადა ამოიწურება ან კომპანიას ობიექტური მტკიცებულება აქვს, რომ მიღებისთვის საჭირო ყველა კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია.

გაყიდვებიდან მიღებული შემოსავალი აღიარებულია წინასწარ შეთანხმებული ფასის საფუძველზე, სავარაუდო მოცულობითი ფასდაკლებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. შემოსავლის აღიარება ხდება მხოლოდ იმ დონეზე, რომ დიდი ალბათობით მნიშვნელოვანი აღდგენა არ მოხდება. ანაზღაურების ვალდებულება (შედის სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში) აღიარებულია საანგარიშო პერიოდის ბოლომდე განხორციელებული გაყიდვების მიმართ მომხმარებლებისთვის გადასახდელი მოსალოდნელი მოცულობითი ფასდაკლებით.

მიიჩნევა, რომ დაფინანსების ელემენტი არ არსებობს, თუ გაყიდვები საკრედიტო პირობით არ ხორციელდება. მოთხოვნა აღიარდება საქონლის ჩაბარებისას, რადგან ამ ეტაპზე ანაზღაურება ხდება უპირობოდ, რადგან მხოლოდ დროის გასვლა საჭირო გადახდის დრომდე. მაღაზიებში საცალო ვაჭრობის ფულადი სახსრები მიიღება გაყიდვის მომენტში.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

საპროცენტო შემოსავალი. საპროცენტო შემოსავალი აღირიცხება ყველა სავალდარიცხვის საფუძველზე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ამ მეთოდით საპროცენტო შემოსავლის სახით გადავადდება მხარეებს შორის ხელშეკრულების ყველა საკომისიო, რაც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია, ასევე ყველა პრემია ან ფასდათმობა.

საკომისიო, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია, მოიცავს კომპანიის მიერ ფინანსური აქტივის შექმნასთან ან შეძენასთან დაკავშირებულ საკომისიოს, მაგალითად, საკომისიო კრედიტუნარიანობის შეფასებისთვის, გარანტიების ან გირაოს შეფასებისა და აღრიცხვისთვის, ინსტრუმენტის პირობებზე მოლაპარაკებისთვის და ოპერაციის დოკუმენტების დამუშავებისთვის.

ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივებისთვის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლითაც მოსალოდნელი ფულადი ნაკადები (მათ შორის თავდაპირველი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი) დისკონტირდება თავდაპირველი აღიარებისას რეალურ ღირებულებამდე (როგორც წესი შესყიდვის ფასი). შედეგად, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი კორექტირებულია კრედიტის გათვალისწინებით.

საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ფინანსური აქტივის ბრუტო საბალანსო ღირებულების მიმართ გამოყენებით.

თანამშრომელთა ანაზღაურება. ხელფასის, სარგოს, ანაზღაურებადი შვებულებისა და ბიულეტენის, ბონუსებისა და არაფულადი სარგებელის დარიცხვა ხორციელდება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მიერ. კომპანიას არ გააჩნია იურიდიული ან კონსტრუქციული მოვალეობა, რომ განახორციელოს საპენსიო ან მსგავსი სარგებლის გადახდები, კანონით განსაზღვრული შენატანების სქემაში გადასახადების მიღმა.

ცვლილებები ფინანსურ ანგარიშგებაში გამოცემის შემდეგ. წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში გამოცემის შემდეგ ნებისმიერი ცვლილების განხორციელებისთვის საჭიროა კომპანიის ხელმძღვანელობის დასტური, ვინც ამ ფინანსურ ანგარიშგებას გამოსაცემად ამტკიცებს.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

კომპანია აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე მომდევნო ფინანსურ წელს. შეფასებების და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას შეფასებებთან ერთად ხელმძღვანელობა იყენებს აგრეთვე განსჯას. განსჯა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების საწყისი აღიარება. ჩვეულებრივი საქმიანობისას კომპანია ახორციელებს ოპერაციებს თავის დაკავშირებულ მხარეებთან. IFRS 9 მოითხოვება ფინანსური ინსტრუმენტების საწყისი აღიარება, მათი რეალური ღირებულების საფუძველზე. როდესაც არ არსებობს აქტიური ბაზარი მსგავსი ოპერაციებისათვის, განსჯა გამოიყენება იმის განსაზღვრისათვის, გარიგებები საბაზრო საპროცენტო განაკვეთებით ხორციელდება თუ არასაბაზრო განაკვეთებით. განსჯა ეფუძნება არადაკავშირებულ მხარეებთან მსგავსი ტიპის ოპერაციების ფასებს და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზს. დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთების პირობები აღწერილია მე-7 შენიშვნაში.

იჯარის გარანტიების განსასაზღვრად გამოყენებული დისკონტირების განაკვეთები. კომპანია იყენებს მისი ზღვრულ სასესხო საპროცენტო განაკვეთს, როგორც დისკონტირების განაკვეთის გამოთვლის საფუძველს, იმიტომ, რომ იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი არ შეიძლება ადვილად განისაზღვროს.

დისკონტირების განაკვეთში 10%-იანი ზრდის ან შემცირების შემთხვევაში 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საიჯარო ვალდებულებებში გამოიწვევდა ზრდას ან შემცირებას 20,951 ლარის ოდენობით (2019 წლის 1 იანვარს: 17,417 ლარის ოდენობით).

5 ახალი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება

ფასს 16, „იჯარა“ (გამოცემა 2016 წლის 13 იანვარს და ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვარს). კომპანიამ სტანდარტის გამოყენება მისი სავალდებულო მიღების დღიდან, 2019 წლის 1 იანვრიდან გადაწყვიტა, მოდიფიცირებული რეტროსპექტიული მეთოდის გამოყენებით, შესადარისი ბალანსების გადაფასების გარეშე და სტანდარტით დაშვებული გარკვეული გამარტივების გამოყენებით. საკუთრების იჯარისთვის აქტივების გამოყენების უფლება ფასდება სტანდარტზე გადასვლისას, ისე, თითქოს ახალი წესები ყოველთვის გამოყენებული იყო. ყველა სხვა აქტივები გამოყენების უფლების შეფასდება იჯარის ვალდებულების თანხით, მისი მიღებისას (დაკორექტირებული ნებისმიერი წინასწარ გადახდილი ან დარიცხული დანახარჯებით).

ფასს 16-ის პირველად მიღებისას, კომპანიამ გამოიყენა შემდეგი პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომა რომელიც დაშვებულია სტანდარტით.

- საოპერაციო იჯარის, რომელსაც დარჩენილი საიჯარო ვადა 12 თვეზე ნაკლები აქვს 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, მოკლევადიან იჯარად აღრიცხვა

კომპანიამ ასევე არჩია არ გადაეფასებინა ხელშეკრულება წარმოადგენს თუ არა, ან მოიცავს თუ არა იჯარას თავდაპირველი მიღების თარიღით. ამის ნაცვლად, იმ ხელშეკრულებებისთვის, რომლებიც გაფორმდა გადასვლის თარიღამდე, კომპანია ეყრდნობოდა მის მიერ განხორციელებულ შეფასებას, რომელიც გაკეთდა ბასს 17-ის, იჯარა, და IFRIC 4 იმის განსაზღვრება, შეთანხმება მოიცავს თუ არა იჯარას მიღებისას.

2019 წლის 1 იანვარს, კომპანიის მიერ იჯარის ვალდებულებებისთვის გამოყენებული ზღვრული სასესხო განაკვეთის შეწონილი საშუალო იყო 9.1%.

წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას 387,832 ლარის ოდენობის შეუქცევადი საიჯარო ვალდებულება ჰქონდა.

აღიარებული ვალდებულების მე -8 შენიშვნაში ასახული საოპერაციო საიჯარო ვალდებულებების შეჯერება შემდეგნაირად გამოიყურება:

ქართული ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი / 2019 წლის 1 იანვარი
სულ სამომავლო მინიმალური საიჯარო გადასახადები შეუქცევადი * საოპერაციო იჯარებისთვის 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (შენიშვნა 19)	932,028
- ამჟამინდელ ღირებულებამდე დისკონტირების გავლენა	(358,909)
- შემცირებული მოკლევადიანი იჯარებით, რომლებიც არ არის აღიარებული ვალდებულებად.	(37,289)
2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით აღიარებული იჯარის ვალდებულებები, სულ	535,830
რაც წარმოადგენს:	
მოკლევადიან იჯარის ვალდებულებებს	46,987
გრძელვადიან იჯარის ვალდებულებებს	488,843

* შეუქცევადი იჯარა მოიცავს მხოლოდ გაუქმებად იჯარას: ა) შორეული გაუთვალისწინებელი შემთხვევის დადგომისას, ბ) გამქირავებლის ნებართვით, ან (დ) მოიჯარის მიერ ისეთი დამატებითი თანხის გადახდისას, რომ იჯარის დაწყებისთანავე, იჯარის გაგრძელება გონივრულად სარწმუნოა.

5 ახალი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება (გაგრძელება)

სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებამ გავლენა მოახდინა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, შემდეგ პუნქტებზე:

ქართული ლარი	შენიშვნები	ფასს 16 მიღების გავლენა
ზრდა აქტივებში გამოყენების უფლებით	8	535,830
ზრდა იჯარის ვალდებულებებში	8	535,830

ქვემოთ მოცემული შეცვლილი სტანდარტები ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან, მაგრამ მათ არსებითი გავლენა არ ჰქონიათ კომპანიაზე:

- ფასიკ 23 - „განუსაზღვრელობა მოგების გადასახადის აღრიცხვასთან დაკავშირებით“ (გამოცემულია 2017 წლის 7 ივნისს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან)
- ავანსის მახასიათებლები უარყოფითი კომპენსაციით - ცვლილებები ფასს 9-ში (გამოცემულია 2017 წლის 12 ოქტომბერს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).
- ცვლილებები ბასს 28 “გრძელვადიანი წილი მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში” (გამოცემულია 2017 წლის 12 ოქტომბერს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).
- ფასს-ების წლიური გაუმჯობესებების 2015-2017 წწ. ციკლი - ცვლილებები ფასს 3-ში, ფასს 11-ში, ბასს 12-სა და ბასს 23-ში (გამოცემულია 2017 წლის 12 დეკემბერს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).
- ცვლილებები ბასს 19-ში „პროგრამის ცვლილება, შემცირება ან ანგარიშსწორება“ (გამოცემულია 2018 წლის 7 თებერვალს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები

ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა მიღება სავალდებულოა 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგომ პერიოდებში და რომლებიც კომპანიას მანამდე არ გამოუყენებია, არის შემდეგი:

ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საქმიანობას შორის აქტივების გაყიდვა ან შეტანა - ცვლილებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს, ძალაში შედის ასსს-ის მიერ დადგენილი თარიღით ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ეს ცვლილებები ეხება ფასს 10-ისა და ასს 28-ის მოთხოვნებს შორის შეუსაბამობას ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საქმიანობას შორის აქტივების გაყიდვასთან ან შეტანასთან დაკავშირებით. ამ ცვლილებების ძირითადი შედეგია სრული შემოსავლის ან ზარალის აღიარება, როდესაც ოპერაცია ბიზნესს ეხება. შემოსულობა ან ზარალი ნაწილობრივ აღიარდება, როდესაც ოპერაცია ეხება აქტივებს, რომელიც ბიზნესს არ წარმოადგენს, თუნდაც ამ აქტივებს შვილობილი საწარმო ფლობდეს.

ფასს 17 - „სადაზღვევო ხელშეკრულებები“ (გამოცემულია 2017 წლის 18 მაისს, ძალაში შედის 2021 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ფასს 17-ით ჩანაცვლდა ფასს 4, რომელიც კომპანიებს აძლევდა თავისუფლებას, რათა გაეგრძელებინათ სადაზღვევო ხელშეკრულებების ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება, არსებული პრაქტიკის მიხედვით. შედეგად, ინვესტორებისათვის რთული იყო სხვაგვარად მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური საქმიანობის შედეგების შედარება. ფასს 17 არის ერთ პრინციპზე დაფუძნებული სტანდარტი ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვისათვის, მათ შორის მზღვეველის მიერ ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებებისათვის. სტანდარტით მოითხოვება სადაზღვევო ხელშეკრულების ჯგუფების აღიარება და აღრიცხვა: (i) სამომავლო ფულადი ნაკადების რისკის გათვალისწინებით კორექტირებული დისკონტირებული ღირებულებით (სრული ფულადი ნაკადები), რომლებიც მოიცავს ყველა არსებულ ინფორმაციას, სრული ფულადი ნაკადების შესახებ, ბაზარზე დაკვირვებად ინფორმაციასთან თანმიმდევრული გზით; მიმატებული (თუ ეს ღირებულება ვალდებულებებზე ან გამოკლებული (თუ ეს ღირებულება აქტივებზე); (ii) თანხა, რომელიც წარმოადგენს გამოუმუშავებელ მოგებას ამ კომპანიას ხელშეკრულებებში (სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა). მზღვეველები აღიარებენ სადაზღვევო ხელშეკრულებების კომპანიიდან მიღებულ მოგებას იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ისინი უზრუნველყოფენ დაზღვევას, აღებული რისკისგან გათავისუფლებამდე. თუ ხელშეკრულებების მოცემული კომპანია ზარალიანი გახდება, საწარმო ზარალს მაშინვე აღიარებს.

ცვლილებები ფინანსური ანგარიშგების წარდგენის კონცეპტუალურ საფუძვლებში (გამოცემულია 2018 წლის 29 მარტს, ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). გადასინჯული კონცეპტუალური საფუძვლები მოიცავს ახალ თავს შეფასების შესახებ; სახელმძღვანელო მითითებებს საქმიანობის ფინანსური შედეგების შესახებ; გაუმჯობესებულ განმარტებებსა და სახელმძღვანელო მითითებებს - განსაკუთრებით ვალდებულების განმარტება; ასევე მნიშვნელოვანი საკითხების ახსნას, როგორცაა მაგალითად, ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით ზედამხედველობის, წინდახედულობისა და შეფასების განუსაზღვრელობის როლი.

6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)

საწარმოს განმარტება – ცვლილებები ფასს 3-ში (გამოცემულია 2018 წლის 22 ოქტომბერს, ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ცვლილებებში გადასინჯულია საწარმოს განმარტება. საწარმო შედგება რესურსებისა და პროცესებისაგან, რომლებსაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ პროდუქციის წარმოების შესაძლებლობაში. ახალ სახელმძღვანელო მითითებებში მოცემულია ჩარჩო იმის შესაფასებლად, როდის არსებობს რესურსები და არსებითი პროცესები, მათ შორის ადრეულ ეტაპზე მყოფი საწარმოების შემთხვევაში, რომლებიც პროდუქციას არ წარმოქმნიან. როდესაც პროდუქცია არ იქმნება, საწარმოს სახით კლასიფიკაციისთვის საჭიროა ორგანიზებული სამუშაო ძალის არსებობა. „პროდუქციის“ განმარტება ისეთი ფართო აღარ არის და აქცენტი გაკეთებულია მომხმარებლებისთვის მიწოდებულ პროდუქციასა და გაწეულ მომსახურებაზე, რომელიც წარმოქმნის საინვესტიციო და სხვა შემოსავალს და არ შეიცავს დაბალი დანახარჯების ან სხვა ეკონომიკური სარგებლის სახით მიღებულ უკუგებას. აგრეთვე, საჭირო აღარ არის იმის შეფასება, ბაზრის მონაწილეებს შეუძლიათ თუ არა საჭირო ელემენტების ჩანაცვლება ან შეძენილი საქმიანობისა და აქტივების ინტეგრირება. საწარმოს შეუძლია „კონცენტრაციის ტესტის გამოყენება. შეძენილი აქტივები საწარმოს არ წარმოადგენენ, თუ ამ აქტივების ბრუტო რეალური ღირებულება არსებითად კონცენტრირებული არ არის ერთ აქტივში (ან მსგავსი აქტივების ჯგუფში).

არსებითობის განმარტება – ცვლილებები ბასს 1-სა და ბასს 8 (გამოცემულია 2018 წლის 31 ოქტომბერს, ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ამ ცვლილებებით უფრო ნათლად არის ჩამოყალიბებული არსებითობის განმარტება და ახსნილია, როგორ შეიძლება მისი გამოყენება, რაც ადრე ამ ფასს-ის ტექსტში იყო მოცემული ახლა კი განმარტებაშია ასახული. ამასთან, გაუმჯობესებულია განმარტების თანმხლები ახსნა. დასასრულ, ცვლილებებით უზრუნველყოფილია არსებითობის განმარტების თანმიმდევრულობა ყველა ფასს-ში. ინფორმაცია არსებითია, თუ მისი გამოტოვების, უზუსტობის ან ბუნდოვნად წარდგენისას შეიძლება გონივრულ ფარგლებში მოსალოდნელი იყოს იმ გადაწყვეტილებებზე გავლენის მოხდენა, რომლებსაც საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების ძირითადი მომხმარებლები იღებენ აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე, სადაც ასახულია ფინანსური ინფორმაცია კონკრეტული საანგარიშგებო საწარმოს შესახებ.

საპროცენტო განაკვეთის ათვლის წერტილის რეფორმა-ფასს 9, ბასს 39 და ფასს 7-ში შეტანილი შესწორებები (გამოშვებული 2019 წლის 26 სექტემბერს და ძალაში შესული იმ წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2020 წლის 1 იანვრის შემდეგ). შესწორებები გამოწვეული იყო ისეთი საპროცენტო განაკვეთის ჩანაცვლებით, როგორიცაა LIBOR და სხვა შემოთავაზებული ბანკთაშორისი განაკვეთები („IBOR-ები“). ეს შესწორებები დროებით ათავისუფლებს ჰეჯირების სპეციფიკური აღრიცხვის მოთხოვნების გამოყენებისგან ჰეჯირების იმ ურთიერთობებზე, რომლებზეც IBOR-ის რეფორმის შედეგებს უშუალო გავლენა ჰქონდა. ფულადი ნაკადების ჰეჯირების აღრიცხვა ორივე, ფასს 9-ისა და ბასს 39 -ის მიხედვით, მოითხოვს, რომ სამომავლო ჰეჯირებული ფულადი ნაკადები იყოს “მაღალი ალბათობით მოსალოდნელი“. მაშინ, როდესაც ეს ფულადი ნაკადები დამოკიდებულია IBOR-ზე, შესწორებებით გამოწვეული გათავისუფლება საწარმოსგან მოითხოვს იმის დაშვებას, რომ ის საპროცენტო განაკვეთი, რომელზეც ეს ჰეჯირებული ფულადი ნაკადებია დაფუძნებული, რეფორმის შედეგად არ შეიცვლება. ორივე, ბასს 39 და ფასს 9 მოითხოვს საპროცენტო პერსპექტიულ შეფასებას იმისათვის, რომ გამოიყენოს ჰეჯირების აღრიცხვა. მაშინ, როდესაც ამჟამად IBOR-ის და IBOR-ის ჩანაცვლების განაკვეთების მიხედვით ფულადი ნაკადები მოსალოდნელია, რომ იქნება თანაბრად ეკვივალენტური, რასაც მინიმუმამდე დაყავს ნებისმიერი არაეფექტურობა, ამას, შესაძლოა აღარ ჰქონდეს მნიშვნელობა, რადგან რეფორმის თარიღი ახლოვდება.

6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)

ამ შესწორებების მიხედვით, საწარმომ შეიძლება დაუშვას, რომ საპროცენტო განაკვეთის ათვლის წერტილი, რომელზეც ეფუძნება ჰეჯირებული მუხლის, ჰეჯირების ინსტრუმენტის ან ჰეჯირებული რისკის ფულადი ნაკადები არ შეცვლილა IBOR-ს რეფორმის შედეგად. IBOR-ის რეფორმას აგრეთვე შეუძლია გამოიწვიოს ის, რომ ჰეჯი გასცდეს 80-125%-იან ფარგლებს, რაც მოთხოვნილია ბასს 39-ით, რეტროსპექტიული შემოწმებისთვის. ბასს 39 შესაბამისად შესწორდა, რათა დაეშვა გამონაკლისი რეტროსპექტიული ეფექტურობის შემოწმებაში ისე, რომ ჰეჯი არ წყდება მხოლოდ IBOR-თან დაკავშირებული გაურკვევლობის პერიოდის განმავლობაში, იმიტომ, რომ რეტროსპექტიული ეფექტურობა სცდება ამ ფარგლებს. თუმცა, ჰეჯირების აღრიცხვასთან დაკავშირებული სხვა მოთხოვნები, მათ შორის პერსპექტიული შეფასება, უნდა დაკმაყოფილდეს. გარკვეული რაოდენობის ჰეჯირებებში, ჰეჯირებული მუხლი ან ჰეჯირებული რისკი წარმოადგენს IBOR რისკის კომპონენტს, რომელიც არ არის ხელშეკრულებაში მითითებული. იმისათვის, რომ გამოყენებული იყოს ჰეჯირების აღრიცხვა, ორივე ფასს 9 და ბასს 39 მოითხოვს, რომ აღნიშნული რისკის კომპონენტი იდენტიფიცირებადი და სარწმუნოდ შეფასებადი იყოს საწყისი ჰეჯირების დანიშნულების და არა მიმდინარე საფუძველზე. მაკრო ჰეჯირების კონტექსტში, მაშინ, როდესაც საწარმო, ხშირად, ჰეჯირების ურთიერთობას აბრუნებს საწყის მდგომარეობაში, შეღავათი გამოიყენება იმ დროიდან, როდესაც ჰეჯირებული მუხლი თავდაპირველად გამოწვეული იყო ამ ჰეჯირების ურთიერთობისთვის. ნებისმიერი ჰეჯირების არაეფექტურობის აღრიცხვა მოხდება მოგებასა და ზარალში ორივე, ბასს 39-ის და ფასს 9-ის მიხედვით. აღნიშნული შესწორებები განაპირობებს იმას, თუ როდის დასრულდება შეღავათები, რაც მოიცავს გაურკვევლობას, რომელიც წარმოშობილია იმით, რომ ადგილი აღარ აქვს საპროცენტო განაკვეთის ათვლის წერტილის რეფორმას. შესწორებები საწარმოებისგან მოითხოვს ინვესტორებისთვის დამატებითი ინფორმაციის მიწოდებას ამ გაურკვევლობების შედეგად პირდაპირი გავლენის ქვეშ მყოფი ჰეჯირების ურთიერთობების შესახებ, მათ შორისაა ჰეჯირების ინსტრუმენტების ნომინალური ოდენობა, რომელზე შეღავათების გამოიყენება, შეღავათების გამოყენებისას გაკეთებული ყველა მნიშვნელოვანი დაშვებები და განსჯა, იმის რაოდენობრივი განმარტებები, თუ როგორი გავლენა აქვთ საწარმოზე IBOR რეფორმას და თუ როგორ მართავს ის გადასვლის პროცესს.

ვალდებულებების გრძელვადიანად და მოკლევადიანად კლასიფიკაცია – შესწორებები ბასს 1-სთვის (გამოცემულია 2020 წლის 23 იანვარს და ძალაში შედის წლიური პერიოდებისთვის 2022 წლის 1 იანვრიდან). ეს ვიწრო მასშტაბის ვალდებულებები კლასიფიცირდება ან როგორც გრძელვადიანი, ან როგორც მოკლევადიანი, რაც დამოკიდებულია იმ უფლებებზე, რომლებიც საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის არის არსებული. ვალდებულებები გრძელვადიანია თუ საწარმოს, საანგარიშო პერიოდის ბოლოს, გააჩნია იმის არსებითი უფლება გადავადოს ანგარიშსწორება სულ მცირე 12 თვით. სახელმძღვანელო მითითებები აღარ მოითხოვს, რომ ეს უფლება იყოს უპირობო. ხელმძღვანელობის მოლოდინი იმის შესახებ, რომ საწარმო შემდგომში გამოიყენებს ანგარიშსწორების გადავადებას არ ახდენს გავლენას ვალდებულებების კლასიფიკაციაზე. გადავადების უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში არსებობს, თუ საწარმო აკმაყოფილებს შესაბამის პირობებს საანგარიშო პერიოდის ბოლოს მდგომარეობით. ვალდებულება კლასიფიცირდება მოკლევადიანად თუ პირობა დარღვეულია საანგარიშო პერიოდის მსვლელობისას ან მანამდე, იმ შემთხვევაშიც, თუ ამ პირობაზე უარი გამსესხებლისგან არის მიღებული მხოლოდ საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდეგ. საპირისპიროდ, სესხი კლასიფიცირდება გრძელვადიანად თუ სესხის შეთანხმება ირღვევა მხოლოდ საანგარიშო თარიღის შემდეგ. დამატებით, შესწორებები მოიცავს კლასიფიკაციის მოთხოვნების განმარტებას იმ ვალისათვის, რომლის ანგარიშსწორებასაც კომპანია მისი კაპიტალში გადაანგარიშებით შეძლებს. „ანგარიშსწორება“ განისაზღვრება, როგორც ვალის დაფარვა ფულადი სახსრებით, სხვა რესურსებით, რომელიც მოიცავს ეკონომიკურ სარგებელს ან საწარმოს საკუთარი კაპიტალის ინსტრუმენტებით. არსებობს გამონაკლისი იმ გადაანგარიშებადი ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც შეიძლება გადაანგარიშებული იყოს კაპიტალში, მაგრამ მხოლოდ იმ ინსტრუმენტებისთვის, სადაც გადაანგარიშების შესაძლებლობა კლასიფიცირებულია, როგორც კაპიტალის ინსტრუმენტი-როგორც რთული ფინანსური ინსტრუმენტის ცალკე შემადგენელი კომპონენტი. კომპანია აშუაგვად ახორციელებს შესწორებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

თუ ზემოთ სხვაგვარად არ არის მითითებული, მოსალოდნელი არ არის, რომ ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები მნიშვნელოვან გავლენას მოახდენენ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)

შემოსულობები სავარაუდო მოხმარებამდე, წამგებიანი ხელშეკრულებები- ხელშეკრულების შესრულების ხარჯი, მითითება კონცეპტუალურ სტრუქტურულ საფუძვლებზე- ასს 16, ასს 37 და ფასს 3 -ის ვიწრო მოქმედების სფეროს შესწორებები და ფასს 2018-2020 წლის წლიური გაუმჯობესებები- ფასს 1, ფასს 9, ფასს 16 და ასს 41 -ის შესწორებები (გამოცემულია 2020 წლის 14 მაისს და ძალაშია 2022 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის) ასს 16-ის შესწორება უკრძალავს საწარმოს ძირითადი საშუალებების მუხლის ხარჯიდან საწარმოს მიერ აქტივის სავარაუდო მოხმარებისთვის მომზადებისას წარმოებული მუხლის გაყიდვიდან მიღებული შემოსულობის გამოქვითვას. მსგავსი მუხლების გაყიდვიდან მიღებული შემოსულობები, მათი წარმოების ხარჯებთან ერთად, ახლა აღიარდება მოგება-ზარალში. საწარმო გამოიყენებს ასს 2-ს ამ მუხლების ღირებულების შესაფასებლად. ღირებულება არ მოიცავს შემოწმების პროცესში მყოფი აქტივის ცვეთას, იმიტომ, რომ ის ჯერ მზად არ არის მისი სავარაუდო მოხმარებისთვის. ასს 16-ის შესწორება ასევე განმარტავს, რომ საწარმო ახორციელებს იმის შემოწმებას „ფუნქციონირებს თუ არა აქტივი სათანადოდ“ მაშინ, როდესაც ის აფასებს აქტივის ტექნიკურ თუ ფიზიკურ წარმადობას. აქტივის ფინანსური წარმადობა ამ შეფასების რელევანტური არ არის. ამგვარად, აქტივს შეუძლია ხელმძღვანელობის განზრახვის შესაბამისად ფუნქციონირება და ექვემდებარება ცვეთას სანამ არ მიაღწევს ხელმძღვანელობის მიერ განზრახულ საოპერაციო წარმადობას.

ასს 37-ის შესწორებები განმარტავს „ხელშეკრულების შესრულების ხარჯების“ მნიშვნელობას. შესწორება განმარტავს, რომ ხელშეკრულების შესრულების პირდაპირი ხარჯები შედგება ამ ხელშეკრულების შესრულების დანახარჯებისაგან და იმ ხარჯების განაწილებისგან, რომელიც პირდაპირ კავშირშია შესრულებასთან. შესწორება ასევე განმარტავს, რომ სანამ წამგებიანი ხელშეკრულების ცალკე ანარიცხი შეიქმნება, საწარმო აღიარებს ხელშეკრულების შესრულებისთვის გამოყენებული იმ აქტივების ნებისმიერი გაუფასურების ზარალს, რომელსაც ადგილი ჰქონდა, მეტად, ვიდრე იმ აქტივების, რომლებიც ხელშეკრულებისთვის არის განკუთვნილი.

ფასს 3-ში შევიდა შესწორებები, რომლებიც მიუთითებს 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ სტრუქტურულ საფუძვლებზე იმისათვის, რომ განისაზღვროს, თუ რას წარმოადგენს აქტივი საწარმოთა გაერთიანებისას. შესწორების შეტანამდე, ფასს 3 მიუთითებდა 2001 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ სტრუქტურულ საფუძვლებზე. დამატებით, ფასს 3-ის ახალი გამონაკლისი დაემატა ვალდებულებებს და პირობით ვალდებულებებს. გამონაკლისი მიუთითებს, რომ გარკვეული ტიპის ვალდებულებების და პირობითი ვალდებულებებისთვის, საწარმომ, ფასს 3 -ის გამოყენების ნაცვლად ასს 37 ან ფასს 21 უნდა გამოიყენოს, ვიდრე 2018 წლის კონცეპტუალური სტრუქტურული საფუძვლები. ამ ახალი გამონაკლისის გარეშე, საწარმოს გარკვეული ვალდებულებები საწარმოთა გაერთიანებისას უნდა ეღიარებინა, რასაც ასს 37-ის მიხედვით, არ აღიარებდა. ამგვარად, დაუყოვნებლივ, შესყიდვის შემდეგ, საწარმოს მოუწევდა მსგავსი ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა და ისეთი შემოსულობის აღიარება, რომელმაც არ გამოკვეთა ეკონომიკური სარგებელი. ასევე განმარტებულია, რომ შემსყიდველმა არ უნდა აღიაროს პირობითი აქტივი შესყიდვის თარიღით, როგორც ეს განსაზღვრულია ასს 37-ით.

ფასს 9-ს შესწორება განმარტავს, თუ რომელი საზღაური უნდა იყოს შეყვანილი ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის 10%-იან ტესტში. ღირებულებებზე საზღაური შესაძლებელია გადახდილი იყოს ან მესამე მხარეებისთვის ან გამსესხებლისთვის. შესწორების მიხედვით, ის ღირებულება და საზღაური, რომელიც გადახდილია მესამე მხარეებისთვის არ შევა 10%-იან ტესტში.

ილუსტრაციული მაგალითი 13, რომელიც მოყვება ფასს 16-ს, შესწორდა, რათა შეიჯაროს მიერ გადახდების ილუსტრაცია, რომელიც უკავშირდება საიჯარო გაუმჯობესებებს, იყოს ამოღებული. შესწორების მიზნით საიჯარო წამახალისებლებთან დაკავშირებული ნებისმიერი პოტენციური გაუგებრობის აღმოფხვრაა.

6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)

ფასს 1 იძლევა საშეღავათო უფლებას შვილობილმა საწარმომ ფასს-ები მიიღოს უფრო გვიანი თარიღით, ვიდრე მშობელმა საწარმომ. შვილობილ საწარმოს შეუძლია მისი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებით შეფასება, რაც შესული იქნებოდა მისი მშობელი საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებებში, მშობელი საწარმოს ფასს-ებზე გადასვლის თარიღის საფუძველზე, თუ კონსოლიდაციის პროცედურებისთვის და საწარმოთა გაერთიანების იმ შედეგებისთვის, რომელშიც მშობელმა შეიძინა შვილობილი საწარმო, არ შესულა შესწორებები.

ფასს 1-ში შევიდა შესწორებები, რათა მიეცეს ფასს 1-ის შეღავათით მოსარგებლე საწარმოებს იმის უფლება, რომ დაგროვილი საკურსო სხვაობებიც შეაფასოს მშობელი საწარმოს მიერ ანგარიშგებული თანხების გამოყენებით, მშობელი საწარმოს ფასს-ებზე გადასვლის თარიღის საფუძველზე. ფასს 1-ის შესწორებები აფართოებს ზემოთ აღნიშნულ შეღავათს დაგროვილ საკურსო სხვაობებზე პირველად სტანდარტების მიმღები საწარმოებისთვის ხარჯების შესამცირებლად. ეს შესწორება ასევე ეხება იმ მეკავშირე და ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოებს, რომლებმაც ისარგებლეს იმავე ფასს 1-ის შეღავათით.

მოთხოვნა, რომ საწარმოებმა ასს 41-ის მიხედვით, რეალური ღირებულების შეფასებისას, ამოიღონ დაბეგვრისთვის განსაზღვრული ფულადი ნაკადები, გაუქმებულია. ეს შესწორება მიზნად ისახავს დაბეგვრის შემდგომ საფუძველზე ფულადი ნაკადების დისკონტირების სტანდარტში არსებულ მოთხოვნასთან შესაბამისობაში ყოფნას.

Covid-19-თან დაკავშირებული კონცესიები – შესწორებები ფასს 16-სთვის (გამოცემულია 2020 წლის 28 მაისს და ძალაშია 2020 წლის 1 ივნისს ან მის შემდგენ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ამ შესწორებებმა მოიჯარეებს (და არა მეიჯარეებს) მისცა იმის შეფასებისგან არასავალდებულო განთავისუფლების ფორმით გამოხატული შეღავათით სარგებლობის საშუალება, COVID-19-თან დაკავშირებული ქირავნობის კონცესია წარმოადგენს თუ არა იჯარის მოდიფიკაციას. მოიჯარეს შეუძლია აირჩიოს ქირავნობის კონცესიის იგივენაირად აღრიცხვა, როგორც აღრიცხავდა მაშინ, თუ ის არ იქნებოდა იჯარის მოდიფიკაცია. ბევრ შემთხვევაში, ეს აისახება კონცესიის აღრიცხვაში, როგორც ცვლადი საიჯარო გადახდა. პრაქტიკული მიზანშეწონილობები მხოლოდ ისეთ ქირავნობის კონცესიებზე გამოიყენება, რომელიც COVID-19-ის პანდემიის პირდაპირ შედეგად დადგა და მხოლოდ მაშინ, თუ ყველა ჩამოთვლილი პირობა დაკმაყოფილებულია: საიჯარო გადასახადების ცვლილება იწვევს იჯარის საზღაურის გადახედვას, რაც არსებითად იგივეა ან ნაკლები იმ იჯარის საზღაურზე, რაც უშუალოდ ცვლილებამდე იყო. საიჯარო გადახდების ნებისმიერი შემცირება გავლენას ახდენს მხოლოდ იმ გადახდებზე, რომლებიც უნდა შესრულებულიყო 2021 წლის 30 ივნისს ან მანამდე. და არ არსებობს იჯარის სხვა ვადებისა და პირობების სხვა არსებითი ცვლილება. თუ მოიჯარე არჩევს იჯარისთვის პრაქტიკული მიზანშეწონილობის გამოყენებას, მას მოუწევდა პრაქტიკული მიზანშეწონილობის თანმიმდევრულად იმ ყველა საიჯარო ხელშეკრულებაზე გამოყენება, რომელსაც გააჩნია მსგავსი მახასიათებლები და მსგავსი გარემოებები. შესწორება უნდა იქნეს გამოყენებული რეტროსპექტიულად ასს 8-სტან შესაბამისობაში, თუმცა მოიჯარეებს არ მოეთხოვებათ წინა პერიოდების ციფრების გადანაგარიშება ან ასს 8-ს 28(f) ქვეპუნქტის მიხედვით გამჟღავნების უზრუნველყოფა.

თუ ზემოთ სხვაგვარად არ არის მითითებული, მოსალოდნელი არ არის, რომ ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები მნიშვნელოვან გავლენას მოახდენენ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

7 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ზოგადად, მხარეები დაკავშირებულად მიიჩნევა, როდესაც ისინი ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან ერთ მხარეს შეუძლია მეორე მხარის გაკონტროლება, ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა მეორე მხარეზე ფინანსური ან საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეული დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას ყურადღება უნდა გამახვილდეს ურთიერთობის შინაარსზე და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმაზე.

2019 წლის 31 დეკემბერს დაკავშირებულ მხარეებთან დაუფარავი ნაშთები იყო შემდეგი:

ქართული ლარი	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	338
ნასესხები სახსრები	37,698
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	36,377

2018 წლის 31 დეკემბერს დაკავშირებულ მხარეებთან დაუფარავი ნაშთები იყო შემდეგი:

ქართული ლარი	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	15,744
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12,856

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, დაკავშირებულ მხარეებთან შემოსავლისა და ხარჯები მუხლები შემდეგი იყო:

ქართული ლარი	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები
სხვა ამონაგები	33,309

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, დაკავშირებულ მხარეებთან შემოსავლისა და ხარჯები მუხლები შემდეგი იყო:

ქართული ლარი	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები
სხვა ამონაგები	136,528
ქირა	22,818

7 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

მთავარი ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება. მთავარი ხელმძღვანელი პირები შედგება 3 პიროვნებისგან 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2018: 3).

მთავარი ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება წარდგენილია ქვემოთ:

ქართული ლარი	2019	2018
- მოკლევადიანი სარგებელი	150,155	200,586
სულ	150,155	200,586

8 აქტივები გამოყენების უფლებით და იჯარის ვალდებულებები

კომპანია ქირაობს მაღაზიებს, საოფისე ფართებს, საწყობსა და ავტომობილებს. როგორც წესი, საიჯარო ხელშეკრულებები ფორმდება 2-დან 30 წლამდე ფიქსირებული პერიოდით.

2018 წლის 31 დეკემბრამდე ძირითადი საშუალებების იჯარები კლასიფიცირდებოდა, როგორც საოპერაციო იჯარები. 2019 წლის 1 იანვრიდან იჯარები აღიარებულია, როგორც აქტივი გამოყენების უფლებით და შესაბამისი ვალდებულება იმ დღიდან, როდესაც საიჯარო აქტივი კომპანიის მიერ გამოყენებისთვის ხელმისაწვდომი იქნება.

ქართული ლარი	მიწა	შენიშნა- ნაგებობები	ავტომობილები	სულ
საბალანსო ღირებულება 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით		488,822	47,008	535,830
ცვეთის დარიცხვა		(42,580)	(20,891)	(63,471)
საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		446,242	26,117	472,359

კომპანიამ იჯარის ვალდებულებები აღიარა შემდეგნაირად:

ქართული ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 1 იანვარი
მოკლევადიანი იჯარის ვალდებულება	60,749	46,987
გრძელვადიანი იჯარის ვალდებულება	463,019	488,843
სულ იჯარის ვალდებულებები	523,768	535,830

ცხრილში ქვემოთ, მოცემულია მოძრაობები კომპანიის საიჯარო ვალდებულებებში:

ქართული ლარი	შენიშვნა	იჯარის ვალდებულება
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		-
ახალი სტანდარტების მიღება	5	535,830
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს		535,830
ფულადი ნაკადები, გადახდილი პროცენტის გარდა		(45,730)
დაგროვილი პროცენტი		47,457
საპროცენტო გადახდები		(47,457)
უცხოური ვალუტის გავლის კორექტირებები		33,668
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		523,768

9 მარაგები

<i>ქართული ლარი</i>	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
საქონელი საწყობებში	3,246,784	229,530
საქონელი მაღაზიებში	849,182	753,044
საქონელი ტრანზიტში	-	357,291
სხვა მარაგები	10,969	69,608
სულ მარაგები	4,106,935	1,409,473

პერიოდის განმავლობაში, ხარჯად აღიარებული მარაგების თვითღირებულება, რომელიც წარმოადგენს რეალიზებული საქონლის თვითღირებულებას, შეადგენდა 9,858,368 ლარს (2018: 9,994,597 ლარს) და წარდგენილია მე-14 შენიშვნაში.

10 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

<i>ქართული ლარი</i>	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
ფული ხელზე	42,469	14,048
საბანკო ნაშთები	16,857	1,816,609
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	59,326	1,830,657

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის ნაშთები მოიცავდა კომერციულ ბანკებში განთავსებულ მოთხოვნამდე დეპოზიტებს 1,638,197 ლარის ოდენობით. მოთხოვნამდე დეპოზიტებს წლიური 2-5% პროცენტი ერიცხებათ.

ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების საკრედიტო ხარისხი, ხელზე არსებული ფულის ნაშთების გარდა, შეიძლება შეჯამდეს როგორც "დამაკმაყოფილებელი" საკრედიტო რისკის კლასების მიხედვით, 2019 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. კომპანიის საკრედიტო რისკის მართვის აღწერისთვის იხილეთ შენიშვნა 20.

11 მფლობელების კაპიტალი

დივიდენდები. კომპანიამ წლის განმავლობაში გამოაცხადა და გადაიხდა დივიდენდები 2,901,911 ლარის ოდენობით (2018: 6,704,955 ლარი). ყველა დივიდენდი გამოცხადებული და გადახდილია ქართულ ლარში. საქართველოს კანონმდებლობა განაწილების საფუძველს განსაზღვრავს, როგორც გაუნაწილებელ მოგებას.

12 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

<i>ქართული ლარი</i>	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო ვალდებულებები	1,145,153	686,528
სხვა ვალდებულებები	22,943	4,806
<i>სულ ფინანსური ვალდებულებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში</i>	<i>1,168,096</i>	<i>691,334</i>
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,168,096	691,334

საქონლის შესყიდვების საშუალო საკრედიტო პერიოდი 1-დან 3 თვემდეა. კომპანიას გააჩნია ფინანსური რისკის მართვის პოლიტიკა, რათა უზრუნველყოს ყველა გადასახდელი თანხის გადახდა წინასწარ შეთანხმებული საკრედიტო პირობების ფარგლებში.

წლის განმავლობაში მთლიანი შესყიდვების 85% მიეკუთვნება ერთ უმსხვილეს მომწოდებელს (2018: საუკეთესო - 79%).

13 ამონაგები

კომპანია ამონაგებს აწარმოებს საქონლის დროის გარკვეულ მონაკვეთში გადაცემისას შემდგომ მსხვილ მთავარ ლოკაციებზე:

<i>ქართული ლარი</i>	2019	2018
საცალო	14,624,146	14,429,711
საბითუმო	22,100	136,528
სხვა	37,534	2,044
ამონაგები, სულ	14,683,780	14,568,283

14 რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

<i>ქართული ლარი</i>	2019	2018
საცალო	9,786,493	9,815,478
საბითუმო	16,769	124,116
სხვა	55,106	55,003
სულ, რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	9,858,368	9,994,597

15 სხვა საოპერაციო ხარჯები

ქართული ლარი	2019	2018
ტრანსპორტირების ხარჯები	64,269	34,986
პროფესიონალური მომსახურება	61,183	54,288
საწვავის ხარჯები	20,278	16,190
ბანკის საკომისიო	6,648	7,152
კომუნალურები	4,923	5,521
დაზღვევა	3,209	4,224
რემონტი და მოვლა-შენახვა	967	1,935
გადასახადები მოგების გადასახადის გარდა	343	6,265
მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერა	-	58,321
სხვა საოპერაციო ხარჯები	3,487	5,768
სულ, სხვა საოპერაციო ხარჯები	165,307	194,650

16 ფინანსური შემოსავალი

ფინანსური შემოსავალი მოიცავს საპროცენტო შემოსავალს, რომელიც მიღებულია მოთხოვნამდე საბანკო დეპოზიტებზე (შენიშვნა 10) 31,338 ლარის ოდენობით (2018: 32,131 ლარი).

17 ქირავნობის ხარჯები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის განმავლობაში კომპანიამ აღიარა ქირავნობის ხარჯები 140 708 ლარის ოდენობით, რომელიც მოიცავდა 30 წლიანი საიჯარო ვადით, აზერბაიჯანის საზღვართან მდებარე მიწის და საბაჟოს ეკონომიკურ ზონაში მდებარე და მომუშავე საწყობის იჯარას.

კომპანიას არ აქვს იჯარით აღებული მიწის ნაკვეთების შეძენის შესაძლებლობა საიჯარო პერიოდების გასვლის შემდეგ.

18 მოგების გადასახადის ხარჯი

2017 წლის 1 იანვრიდან, საქართველოში, ბანკების, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების გარდა, საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება არ იბეგრება. კორპორაციული საშემოსავლო გადასახადი დაირიცხება მოგებაზე, რომელიც განაწილებულია დივიდენდად, ფიზიკური ან საქართველოს არარეზიდენტ აქციონერებისათვის, წმინდა განაწილების 15/85 განაკვეთით.

2019 წლის 31 დეკემბერს და 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული ფინანსური წლებისთვის, კომპანიის მიერ გაწეული მოგების გადასახადის ხარჯი, მთლიანად მიეკუთვნება აქციონერისთვის გამოცხადებულ და გადახდილ დივიდენდებს (შენიშვნა 11).

19 გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები

სასამართლო დავები. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში კომპანიის წინააღმდეგ ზოგჯერ სასამართლოში შეაქვთ სარჩელი. საკუთარი შეფასებისა და როგორც შიდა, ისე გარე პროფესიული რჩევის საფუძველზე ხელმძღვანელობა ფიქრობს, რომ სასამართლო დავებთან დაკავშირებით, ადგილი არ ექნება რაიმე სახის არსებით ზარალს.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მას ახასიათებს ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები, ოფიციალური განაცხადები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ხშირად გაურკვეველია, ურთიერთსაწინააღმდეგოა და მრავალგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება. გადასახადები სხვადასხვა ორგანოების მიერ განხილვას და გამოძიებას ექვემდებარება, რომლებსაც აქვთ მკაცრი ჯარიმების და საპროცენტო ხარჯების დაწესების ძალაუფლება.

საგადასახადო წელი ღიაა საგადასახადო ორგანოების მიერ შესამოწმებლად სამი კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, შესაძლებელია აღნიშნული პერიოდი გაიზარდოს. ამ გარემოებამ შესაძლოა საქართველოში შექმნას საგადასახადო რისკები, რაც არსებითად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ბევრ სხვა ქვეყანაში. კომპანიის გაურკვეველი საგადასახადო მდგომარეობა ხელმძღვანელობის მიერ გადაფასდება ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

ვალდებულებები აღრიცხულია მოგების გადასახადის პოზიციებზე, რომლებიც, ხელმძღვანელობის მოსაზრებით, დამატებითი გადასახადების დარიცხვის მიზეზი შეიძლება გახდეს იმ შემთხვევაში, თუ საგადასახადო ორგანო გაასაჩივრებს ამ პოზიციებს.

შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომელიც ძალაშია ან საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის იქნება ძალაში შესული. ჯარიმების, პროცენტისა და მოგების გადასახადის გარდა, გადასახადების ვალდებულებები აღიარებულია ხელმძღვანელობის საუკეთესო შეფასებაზე დაყრდნობით, რომელიც ეხება საანგარიშო პერიოდის ბოლოს ვალდებულებების შესასრულებლად საჭირო დანახარჯებს.

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ მას ადეკვატური უზრუნველყოფა აქვს საგადასახადო ვალდებულებებისთვის, ახალი და ოფიციალური დოკუმენტებისა და სასამართლო გადაწყვეტილებებისთვის. თუმცა, შესაბამისი ორგანოების ინტერპრეტაციები, შესაძლოა იყოს განსხვავებული და გავლენა წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებებზე, თუკი ორგანოები წამატებით მოიყვანენ მოქმედებაში მათ ინტერპრეტაციებს, შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს.

სატრანსფერო ფასწარმოქმნის რეგულაციები. საქართველოს სატრანსფერო ფასწარმოქმნის (TP) კანონმდებლობა დიდწილად შეესაბამება საერთაშორისო სატრანსფერო ფასწარმოქმნის პრინციპებს, რომელიც შემუშავებულია ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მიერ, თუმცა მას გააჩნია კონკრეტული მახასიათებლები. ეს კანონმდებლობა ითვალისწინებს კონტროლირებადი ოპერაციების დამატებითი გადასახადების შეფასების შესაძლებლობას (დაკავშირებულ მხარეებს შორის გარიგებები და არადაკავშირებულ მხარეებს შორის გარკვეული ოპერაციები), თუ ასეთი ოპერაციები არ ხორციელდება გაშლილი ხელის პრინციპის მიხედვით. ხელმძღვანელობამ დანერგა შოდა კონტროლი, რომელიც შესაბამისობაშია სატრანსფერო ფასწარმოქმნის კანონმდებლობასთან. კონტროლირებადი ოპერაციების შედეგად წარმოშობილი საგადასახადო ვალდებულებები განისაზღვრება მათი გარიგების რეალური ფასების საფუძველზე. შესაძლებელია სატრანსფერო ფასების წესების ინტერპრეტაციის ევოლუციით, ამგვარი გადაცემის ფასების გამოწვევა. ნებისმიერი ასეთი გამოწვევის გავლენა არ შეიძლება საიმედოდ შეფასდეს; ამასთან, ეს შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს კომპანიის ფინანსური მდგომარეობისა და / ან საერთო ოპერაციებისათვის. სატრანსფერო ფასწარმოქმნის წესების ინტერპრეტაციების განვითარებასთან ერთად, შესაძლებელია რომ მსგავსი სატრანსფერო ფასები გამოწვევის წინაშე დადგეს. ამ გამოწვევის გავლენის სარწმუნოდ შეფასება შეუძლებელია; თუმცა ეს მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ან/და საერთო ოპერაციებისთვის.

19 გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები (გაგრძელება)

საოპერაციო იჯარის ვალდებულებები. მაშინ, როდესაც კომპანია მოიჯარეა, სამომავლო მინიმალური საიჯარო გადასახადები შეუქცევადი საოპერაციო იჯარის მიხედვით გამოიყურება შემდეგნაირად:

ქარული ლარი	2018
არაუგვიანეს 1 წლისა	131,830
1 წლის შემდეგ და არაუგვიანეს 5 წლისა	440,158
5 წლის შემდეგ	360,040
სულ საოპერაციო იჯარის ვალდებულებები 31 დეკემბერს	932,028

20 ფინანსური რისკის მართვა

კომპანიაში რისკის მართვის ფუნქციის შესრულება ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და იურიდიულ რისკებთან მიმართებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო რისკის, საპროცენტო რისკის და სხვა ფასის რისკის ჩათვლით), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის ძირითადი მიზნებია რისკის ზღვრების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკები აღნიშნულ ზღვრებში დარჩეს. საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვის ფუნქციები გამიზნულია იმის უზრუნველსაყოფად, რომ სათანადოდ ფუნქციონირებდეს შიდა პოლიტიკა და პროცედურები, რათა მინიმუმამდე შემცირდეს საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საკრედიტო რისკი. საკრედიტო რისკი არის რისკი, როდესაც კონტრაქტი, ფინანსური ინსტრუმენტის ან კლიენტის ხელშეკრულების ვალდებულებების მეორე მხარისათვის შეუსრულებლობით, გამოიწვევს ფინანსურ ზარალს. კომპანიის მაქსიმალური დაქვემდებარება საკრედიტო რისკისადმი წარმოდგენილია ბანკებში მიმდინარე ანგარიშების აგრეგირებულ ნაშთით, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

კომპანიას გააჩნია საკრედიტო რისკი, მაშინ, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს, მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით. კომპანიის საკრედიტო რისკისადმი მაქსიმალური დაქვემდებარება აისახება ფინანსურ მდგომარეობაში, ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებების ნაწილში, ბანკებში მიმდინარე ანგარიშებში და მოთხოვნების ანგარიშებში 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

საკრედიტო რისკის მართვა. კომპანია საკრედიტო რისკს მართავს ნაღდი ფულისა და ფულადი დეპოზიტების უმეტესი ნაწილის დეპონირებით საქართველოში კარგად ცნობილ ბანკში. კომპანიის ხელმძღვანელობა მუდმივად აკონტროლებს იმ ბანკების სტატუსს, სადაც დეპოზიტები ინახება.

2019 წლის 31 დეკემბერს მთლიანი დაქვემდებარება საკრედიტო რისკისადმი 16,857 ლარს შეადგენდა (2018 წლის 31 დეკემბერი: 1,816,609 ლარი).

ECL მოდელში ჩართული პერსპექტიული ინფორმაცია. ECL-ის გამოთვლა გულისხმობს პერსპექტიული ინფორმაციის გამოყენებას. კომპანიამ გამოავლინა გარკვეული მთავარი ეკონომიკური ცვლადები, რომლებიც კორელაციაშია საკრედიტო რისკებისა და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განვითარებასთან. საპროგნოზო ეკონომიკური ცვლადები („საბაზისო ეკონომიკური სცენარი“) მიიღება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ყოველწლიურად და წარმოადგენს მოსალოდნელი მაკროეკონომიკური მდგომარეობის საუკეთესო შეფასებას მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში.

20 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

საბაზრო რისკი. კომპანიას გააჩნია საბაზრო რისკები. საბაზრო რისკი წარმოიქმნება ღია პოზიციებიდან (ა) უცხოურ ვალუტასთან, (ბ) აქტივებსა და ვალდებულებებთან, რომელთაც პროცენტი ერიცხებათ და (გ) წილობრივ პროდუქტებთან მიმართებაში, ამასთან ყველა მათგანს გააჩნია საერთო და სპეციფიკური საბაზრო ცვლილებების რისკი. ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც ყოველდღიურად ახორციელებს. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას ამ ზღვრების მიღმა არსებული უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

ქვემოთ მოყვანილი საბაზრო რისკებისადმი მგრძნობელობა ემყარება ფაქტორის ცვლილებას, მაშინ, როდესაც ყველა სხვა ფაქტორი უცვლელი რჩება. პრაქტიკაში ეს, სავარაუდოდ, არ მოხდება და ზოგიერთ ფაქტორებში ცვლილებები შეიძლება იყოს ურთიერთდაკავშირებული - მაგალითად, საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები და უცხოური ვალუტის განაკვეთების ცვლილებები.

სავალუტო რისკი. ქვემოთ მოცემული ცხრილი აჩვენებს კომპანიის უცხოური ვალუტის გაცვლის კურსის რისკებისადმი დაქვემდებარებას საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

ქართული ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი			2018 წლის 31 დეკემბერი		
	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებულებები	წმინდა საბალნსო პოზიცია	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებულებები	წმინდა საბალნსო პოზიცია
ქართული ლარი	64,338	113,264	(48,926)	69,937	50,540	19,397
აშშ დოლარი	2,182	522,113	(519,931)	282,868	-	282,868
ევრო	43,484	1,094,185	(1,050,701)	1,507,525	640,794	866,731
სხვა	7,045	-	7,045	30,649	-	30,649
სულ	117,049	1,729,562	(1,612,513)	1,890,979	691,334	1,199,645

ზემოთ მოყვანილი ანალიზი მოიცავს მხოლოდ ფულად აქტივებსა და ვალდებულებების ინვესტიციები არაფულად აქტივებში არ ითვლება რაიმე სავალუტო რისკის მატარებლად.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია მოგება-ზარალისა და კაპიტალის მგრძნობელობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულად შესაძლებელი ცვლილებებისადმი კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტასთან მიმართებით, როდესაც დანარჩენი ცვლადები რჩება უცვლელი:

ქართული ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი		2018 წლის 31 დეკემბერი	
	გავლენა მოგება- ზარალზე	გავლენა კაპიტალზე	გავლენა მოგება- ზარალზე	გავლენა კაპიტალზე
ქართული ლარის გამყარება 15%-ით	(77,990)	(77,990)	42,430	42,430
ქართული ლარის გაუფასურება 15%-ით	77,990	77,990	(42,430)	(42,430)
ევროს გამყარება 15%-ით	(157,605)	(157,605)	130,010	130,010
ევროს გაუფასურება 15%-ით	157,605	157,605	(130,010)	(130,010)

ეს რისკი გამოთვლილი იქნა მხოლოდ იმ ვალუტებში დენომინირებული ფულადი ნაშთებისათვის, რომლებიც განსხვავდება კომპანიის ფუნქციონალური ვალუტისგან.

20 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

საპროცენტო განაკვეთის რისკი. კომპანია ექვემდებარება საბაზრო საპროცენტო განაკვეთების მერყეობის შედეგად მის ფინანსურ მდგომარეობაზე და ფულად ნაკადებზე მოსალოდნელ რისკებს. ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია კომპანიის საპროცენტო განაკვეთის რისკები. ცხრილში ნაჩვენებია კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების მთლიანი თანხა საბალანსო ღირებულებებით, დაჯგუფებული საპროცენტო განაკვეთის სახელშეკრულებო ცვლილების ან დაფარვის ვადების მიხედვით:

<i>ქართული ლარი</i>	12 თვემდე	1-და 5 წლამდე	5 წელზე მეტი	უპროცენტო	სულ
31 დეკემბერი 2019					
სულ ფინანსური აქტივები	-	-	-	117,049	117,049
სულ ფინანსური ვალდებულებები	98,447	87,794	375,225	1,168,096	1,729,562
წმინდა საპროცენტო მგრძნობელობის სხვაობა 2019 წლის 31 დეკემბერს	(98,447)	(87,794)	(375,225)	(1,051,047)	(1,612,513)
<i>ქართული ლარი</i>	12 თვემდე	1-და 5 წლამდე	5 წელზე მეტი	უპროცენტო	სულ
31 დეკემბერი 2018					
სულ ფინანსური აქტივები	1,638,197			252,782	1,890,979
სულ ფინანსური ვალდებულებები	-	-	-	691,334	691,334
წმინდა საპროცენტო მგრძნობელობის სხვაობა 2018 წლის 31 დეკემბერს	1,638,197	-	-	(438,552)	1,199,645

კომპანიას არ გააჩნია ფორმალური პოლიტიკა და პროცედურები საპროცენტო განაკვეთის რისკების მართვისთვის, რადგან ხელმძღვანელობა თვლის, რომ ეს რისკი უმნიშვნელოა კომპანიის საქმიანობისთვის.

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანიას სირთულეები შეექმნება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულებისას. კომპანია ყოველდღიურად იღებს მოთხოვნებს თავის ხელმისაწვდომ ფულად რესურსებზე. ლიკვიდურობის რისკის მართვას ხელმძღვანელობა ახორციელებს კომპანიის ფულადი ნაკადების მცოცავი პროგნოზის ყოველთვიური მონიტორინგით.

კომპანია ცდილობს სტაბილური დაფინანსების ბაზის შენარჩუნებას, რაც, ძირითადად, მოიცავს ნასესხებ სახსრებს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ვალდებულებები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მათი დარჩენილი საკონტრაქტო დაფარვის ვადების მიხედვით. დაფარვის ვადის ცხრილში ნაჩვენებია ვალდებულებების თანხები წარმოადგენენ საკონტრაქტო, არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს. მსგავსი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული თანხებისაგან, რადგან ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული თანხები ეფუძნება დისკონტირებულ ფულად ნაკადებს.

20 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

როდესაც გადასახდელი თანხა არ არის ფიქსირებული, გამყდარებული თანხა განისაზღვრება საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებული მდგომარეობის მითითებით. გადახდები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება „spot“ კურსების მიხედვით საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადების ანალიზი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ქართული ლარი	12 თვემდე	1-დან 5 წელზე მეტი წლამდე	სულ
ვალდებულებები			
იჯარის ვალდებულებები (შენიშვნა 8)	100,034	225,880	578,085
ნასესხები სახსრები	41,468	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები (შენიშვნა 12)	1,168,096	-	-
სულ სამომავლო გადახდები, სამომავლო ძირი თანხისა და პროცენტის ჩათვლით	1,309,598	225,880	578,085
			2,113,563

ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადების ანალიზი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ქართული ლარი	12 თვემდე	1-დან 5 წელზე მეტი წლამდე	სულ
ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები (შენიშვნა 12)	691,334	-	-
სულ სამომავლო გადახდები, სამომავლო ძირი თანხისა და პროცენტის ჩათვლით	691,334	-	-
			691,334

21 რეალური ღირებულების შეფასება

რეალური ღირებულების შეფასებების ანალიზი რეალური ღირებულების იერარქიაში შემდეგნაირად ხორციელდება: (i) პირველი დონეა იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზარზე კოტირებული (დაუკორექტირებელი) ფასებით შეფასება; (ii) მეორე დონის შეფასება გახლავთ შეფასების ხერხების გამოყენებით შეფასება, როდესაც აქტივის ან ვალდებულების ყველა არსებითი რესურსი დაკვირვებადია ან პირდაპირ (მაგ., ფასები) ან ირიბად (მაგ., წარმოებულია ფასებიდან) და (iii) მესამე დონის შეფასებებია, რომლებიც არ ეფუძნება მხოლოდ დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (ანუ არადაკვირვებადი მონაცემები). ხელმძღვანელობა ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების იერარქიის მეშვეობით დაჯგუფებისათვის იყენებს განსჯას. თუ რეალური ღირებულების შეფასებისას გამოიყენება დაკვირვებადი მონაცემები, რაც მოითხოვს მნიშვნელოვან შესწორებას, მაშინ ეს შეფასება მე-3 დონეა.

21 რეალური ღირებულების შეფასება (გაგრძელება)

აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც რეალური ღირებულებით არ ფასდება, მაგრამ რომელთა რეალური ღირებულება უნდა გამჟღავნდეს.

იმ აქტივების, რომლებიც არ ფასდება რეალური ღირებულებით, რეალური ღირებულების ანალიზი, რეალური ღირებულების იერარქიის მიხედვით და საბალანსო ღირებულება შემდეგია:

ქართული ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი			საბალანსო ღირებულება
	პირველი დონე	მე-2 დონე	მე-3 დონე	
აქტივები				
ფინანსური აქტივები				
- სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-	57,723	57,723
- ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	42,469	16,857	-	59,326
სულ აქტივები	42,469	16,857	57,723	117,049
ვალდებულებები				
სხვა ფინანსური ვალდებულებები				
- სავაჭრო და სხვა ვალდებულება	-	-	1,168,096	1,168,096
- ნასესხები სახსრები	-	-	37,698	37,698
სულ ვალდებულებები	-	-	1,205,794	1,205,794

ქართული ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი			საბალანსო ღირებულება
	პირველი დონე	მე-2 დონე	მე-3 დონე	
აქტივები				
ფინანსური აქტივები				
- სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-	60,322	60,322
- ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	14,048	1,816,609	-	1,830,657
სულ აქტივები	14,048	1,816,609	60,322	1,890,979
ვალდებულებები				
სხვა ფინანსური ვალდებულებები				
- სავაჭრო და სხვა ვალდებულება	-	-	691,334	691,334
სულ ვალდებულებები	-	-	691,334	691,334

21 რეალური ღირებულების შეფასება (გაგრძელება)

რეალური ღირებულების იერარქიაში მეორე დონის რეალური ღირებულება შეფასდა დისკონტირებული ფულადი ნაკადების შეფასების ტექნიკით. არაკონტირებული ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების რეალური ღირებულება დადგინდა სამომავლოდ მოსალოდნელი ფულადი ნაკადების საფუძველზე, დისკონტირებული მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით იმ ახალი ინსტრუმენტებისთვის, რომლებსაც გააჩნიათ მსგავსი საკრედიტო რისკები და დარჩენილი დაფარვის ვადები. რეალური ღირებულების იერარქიის მესამე დონის რეალური ღირებულებები შეფასდა საბაზრო შედარების მიდგომით, უძრავი ქონების საჯაროდ ხელმისაწვდომ მონაცემებზე დაყრდნობით.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები. ფიქსირებულგანაკვეთიანი ინსტრუმენტების შეფასებული რეალური ღირებულება ემყარება შეფასებულ სამომავლო ფულად ნაკადებს, რომელთა მიღება მოსალოდნელია, მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით დისკონტირებულის, ახალი ინსტრუმენტებისთვის, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა აქვთ. გამოყენებული დისკონტირების განაკვეთები დამოკიდებულია პარტნიორის საკრედიტო რისკზე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ვალდებულებები. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთების, გაცხადებული დაფარვის ვადის მქონე ინსტრუმენტები შეფასებულ იქნა მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით, დისკონტირებული მოსალოდნელი ფულადი ნაკადების საფუძველზე, ახალი ინსტრუმენტებისთვის, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკები და დარჩენილი დაფარვის ვადები აქვთ.

22 კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას, კომპანიის მიზანი არის მისი უნარის დაცვა, გააგრძელოს საქმიანობა როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, რათა უზრუნველყოს უკუგება აქციონერებისათვის და სარგებელი სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის და კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურის შენარჩუნება, რათა შეამციროს კაპიტალის ხარჯი.

კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან შესწორების მიზნით, კომპანიას შეუძლია შეცვალოს აქციონერებისათვის გადახდილი დივიდენდების ოდენობა, დაუბრუნოს კაპიტალი აქციონერებს ან გაყიდოს აქტივები სესხის შემცირების მიზნით. კაპიტალის ოდენობამ, რომელიც კომპანიამ მართა 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შეადგინა 3,127,346 ლარი (2018: 2,539,607 ლარი).

23 საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

COVID-19. 2019 წლის ბოლოს გავრცელდა ინფორმაცია ჩინეთიდან COVID-19-ის (კორონავირუსის) შესახებ. წლის ბოლოსთვის შეზღუდული რაოდენობის უცნობი ვირუსით დაინფიცირების შემთხვევების შესახებ მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციას აცნობეს. 2020 წლის პირველ რამოდენიმე თვეში ვირუსი გავრცელდა გლობალურ დონეზე და მისმა ნეგატიურმა გავლენამაც არ დააყოვნა. ხელმძღვანელობა თვლის, რომ ეს გავრცელება იქნება საბალანსო უწყისის შემდგომი არაკორექტირებადი მოვლენა.

2020 წლის 16 მარტიდან კომპანიის მაღაზია დახურულია, რადგან საქართველოს მთავრობამ ჩაკეტა სახელმწიფო საზღვრები. რაც შეეხება უახლეს პროგნოზებს, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მაღაზია გაიხსნება 2021 წლის გაზაფხულიდან. მანამდე კომპანია კვლავ შეძლებს მუშაობის გაგრძელებას და საოპერაციო ხარჯების დაფარვას პერსონალის დათხოვნის გარეშე. მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ კომპანიას არ შეექმნება ლიკვიდურობის პრობლემა, რადგან მან დაფინანსება მიიღო დაკავშირებული მხარეებისგან.

23 საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები (გაგრძელება)

სესხები დაკავშირებული მხარისგან. 2020 წლის განმავლობაში მიმდინარე საოპერაციო საჭიროებების დასაფინანსებლად კომპანიამ მიიღო დამატებითი სესხები დაკავშირებული მხარისგან - შპს დლთი ფრი ჯორჯიასგან, ჯამური თანხით 191,580 ლარი.

24 სააღრიცხვო პოლიტიკა 2019 წლის 1 იანვრამდე

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული შედარებითი პერიოდისთვის გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც ჩასწორდა ფასს 16-ით, იჯარები, შემდეგნაირად გამოიყურება.

საოპერაციო იჯარა. როდესაც კომპანია მოიჯარეა და საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და უკუგება არ გადაეცემა კომპანიას მეიჯარის მიერ, მაშინ იჯარის მთლიანი გადახდები, იჯარის მომსახურების ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით აისახება მოცემული წლის მოგება-ზარალში. იჯარის ვადა არის შეუწყვეტადი პერიოდი, რომლისთვისაც მოიჯარემ ხელშეკრულება გააფორმა მოცემული აქტივის იჯარით გაცემაზე, იმ დამატებით ვადასთან ერთად, რომლის განმავლობაშიც მეიჯარეს ამ აქტივის იჯარით ფლობის გაგრძელების ოფციონი აქვს, შემდგომი გადახდებით, თუ გადახდების გარეშე, როდესაც საიჯარო ურთიერთობის დაწყებისას გონივრულად სარწმუნოა, რომ მეიჯარე გამოიყენებს ამ ოფციონს.